გაზეთი ზიერის. „ვერსიის" ერთი

ვერსია

№21 (1611) 1 — 7 ივნისი ოთხშაბათი 2022 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

რუსეთში ქართველ „კანონიერ ქურდებზე“ ნადირობის ახალი სეზონი გაიხსნა

ქარიშხალი ჭიქაში ანუ სოლიდარობა 300 წლის წინ გარდაცვლილ მეფეს

მეფე ერეკლედან ევროკავშირამდე

გიორგი ფხაკაძე: „დაწყნარდით, დამშვიდდით!“

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

„ამ პოლიტიკური მოცემულობით, ვერ გეტყვით, რომ შეიძლება, ევროკავშირმა თანხმობა მოგვცეს“

ნონა მამულაშვილი: „ოპოზიციაში სერიოზული სტაგნაციაა და უნდა გადავდგათ ნაბიჯები გაერთიანებისკენ“

შინაგან საქმეთა სამინისტროში შშმ პირებისთვის საპოლიციო სერვისების მიწოდების შესახებ UNDP-ისა და ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერილი პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ გაეროს განვითარების პროგრამა – UNDP-ისა და ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის – „შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიანი მომსახურების ცენტრის და მომსახურების სააგენტოს მხარდაჭერა გაუმჯობესებული მომსახურების მიწოდების მიმართულებით“ – შემაჯამებელ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

ღონისძიება შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა, სადაც ალექსანდრე დარახველიძემ პროექტის ფარგლებში შესრულებული აქტივობები, გამოვლენილი გამოწვევები და მიღწეული პროგრესი შეაჯამა.

ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა და ბენეფიციარებს პროექტის წარმატებით დასრულება მიულოცა გაეროს განვითარების პროგრამა – UNDP-ის საქართველოში მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ, ანნა ჩერნიშოვამ. მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს ბრიტანეთის საელჩოს წარმომადგენელმა, ელენ ვიხმანმა და ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის დირექტორმა, გიორგი გაბრიელაშვილმა.

შეხვედრის ფარგლებში, შესრულებული აქტივობებისა და მიღწეული შედეგების შემაჯამებელი ვიდეორგოლის ჩვენება გაიმართა.

პროექტი განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამა – UNDP-ის ინიციატივის – „საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში (PAR), ფაზა 2“-ის ფარგლებში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის მხარდაჭერით.

პროექტის მიზანი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიანი მომსახურების ცენტრისა და მომსახურების სააგენტოს ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება, ადამიანზე ორიენტირებული საჯარო სერვისების ეფექტური და ინკლუზიური მიწოდების გზით.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ მადლობა გადაუხადა გაეროს განვითარების პროგრამა – UNDP-ისა და ბრიტანეთის მთავრობას, წლების განმავლობაში არსებული მჭიდრო თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

პოლიციამ შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და გურიაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია სამი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო პერიოდში, შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და გურიაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, უკანონო საბრძოლო მასალა ამოიღეს და სამი პირი დააკავეს.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1980 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ.ვ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 14 მჭიდი და 441 ვაზნა.

მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დუშეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1983 წელს დაბადებული ი.კ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 20 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

1999 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ბ., გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთისა და ოზურგეთის რაიონული სამმართველოების თანამშრომლების მიერ, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვისაა დაკავებული. პოლიციამ, მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, „ბრაუნინგის“ სისტემის პისტოლეტი და მჭიდი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ალექსანდრე დარახველიძემ საგზაო უსაფრთხოების თემაზე ევროკავშირის მხარდაჭერილი პროექტის გახსნით ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ერთიანი მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბების და საგზაო უსაფრთხოების მართვის შემდგომი გაუმჯობესების მხარდაჭერა საქართველოში“ – გახსნით ღონისძიებას დაესწრო.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გურამ გურამიშვილი, პოლონეთის განვითარების ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის მინისტრი გრეგორზ პუდა, ლიეტუვის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ანდრიუს კალინდრა, პოლონეთის ელჩი საქართველოში მარიუშ მაშკიევიჩი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე, საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორი ირაკლი ყურაშვილი და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი ალექსანდრე დარასი ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ და პროექტის პერსპექტივებზე ისაუბრეს.

შეხვედრის მონაწილეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა პარტნიორი უწყებების მიერ პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები განიხილეს.

აღნიშნული პროექტის მიზანია საქართველოში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მართვის გაძლიერება, ავტოსაგზაო შემთხვევების აღრიცხვიანობის სისტემის გაუმჯობესება, საგზაო უსაფრთხოების სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნა და მონაცემთა ანალიზის მიმართულებით უწყებათა შესაძლებლობების გაძლიერება.

ალექსანდრე დარახველიძემ მადლობა გადაუხადა ევროკავშირის დელეგაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერისთვის.

ქარიშხალი ჭიქაში ანუ სოლიდარობა 300 წლის წინ გარდაცვლილ მეფეს

ნინო დოლიძე

მეფე ერეკლედან ევროკავშირამდე

ხომ გაგიგიათ, რომ ვამტკიცებთ ხოლმე, რაც მაგრები ვართ, ქართველები ვართო. ახლა, ეს შეფასება ზოგს, შესაძლოა, გადაჭარბებული ეგონა, მაგრამ ამ დღეებში საბოლოოდ დავამტკიცეთ, რომ მხოლოდ მაგრები კი არა, ისეთი „იდეინებიც“ ვართ, რომ მსოფლიოში ანალოგი არ მოგვეძებნება ანუ ზოგჯერ ისეთი იდეებიც მოგვდის, რომ თვით სამყაროს „შამქმნელსაც“ პირი დარჩება ღია. რას ვგულისხმობ? – რას და, პლანეტა დედამიწაზე ჯერ აზრად არავის მოსვლია, სამი საუკუნის წინ გარდაცვლილი მეფისადმი ერთგულების, სოლიდარობისა თუ მხარდაჭერის მიზნით, ქუჩაში გამოსულიყო, აქცია გაემართა და მთელი ენერგიით ეყვირა: „დიდება მეფეს!“

გასაგებია, რომ მეფეც უნდა ვადიდოთ და დედოფალიც, მაგრამ ერთიც საყურადღებოა – ახლა, ვინმე რომ გამოვიდეს ინიციატივით, მოდით, ქვეყანაში მეფობა აღვადგინოთო, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება? – ყველა, ესე იგი, ვისაც არ დაეზარება, საკუთარ აზრს, მინიმუმ, სოციალურ ქსელში გამოთქვამს, უსაქმური მეფეღა გვაკლია, კისერზე რომ დავისვათო.

ისე, ალბათ, ისიც გახსოვთ, ბაგრატიონების გარშემო როგორი აჟიოტაჟი იფეთქებს ხოლმე, პერიოდულად. აი, თუნდაც ანა და დავით ბაგრატიონების ოჯახური დრამები გავიხსენოთ, მთელი ქვეყანა რომ განიხილავდა და ენას არ აჩერებდა.

ჩვენში დარჩეს და, ანა ბაგრატიონი ერეკლე მეფის შთამომავალია ანუ ანას პაპა (კახეთში „ბაბუას“ არ ამბობენ), პეტრე გრუზინსკი „პატარა კახის“ პირდაპირი მემკვიდრე გახლდათ.

ჰოდა, თქვე კაი დედ-მამიშვილებო, აქ და ახლა, ერეკლეს სოლიდარობას რომ უცხადებთ და მიტინგებს მართავთ, რამდენიმე წლის წინ, როცა ზემოხსენებულ სამეფო ოჯახს ათას ლაფს ასხამდნენ, რატომ არ გაგიჩნდათ დაცვის სურვილი?

ამ კითხვაზე პასუხი არ გაქვთ? იქნებ, იმიტომ არ გაქვთ, რომ არც კი იცოდით, ანა ბაგრატიონი ერეკლეს შთამომავალი რომაა.

სიტყვამ მოიტანა და ერთობ საინტერესოა, ერეკლეს დაცვის კამპანიაში სამეფო სახლი, იგივე ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი რატომ არ ერთვება?

ახლა, არ თქვათ, ერეკლე, მაგალითად, პაატა გულიაშვილს უფრო უყვარს, ვიდრე – ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკისო.

ზოგადად, ერეკლეს დაცვის კამპანია ძალიან უცნაურად აგორდა და საეჭვოდ დაემთხვა დროს, როცა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი უნდა მივიღოთ. არ ჩათვალოთ, რომ შეთქმულების თეორიას მივყვებით, მაგრამ იგივე ლევან ბერძენიშვილმა თავის დროზე ისიც თქვა, ილია ჩემთვის უფრო დიდი საზოგადო მოღვაწეა, ვიდრე – მწერალიო. კი ბატონო, მაშინაც კი „ჩადეს“ მიწაში, მაგრამ ბერძენიშვილის აკრძალვის მოთხოვნითა, თუ ილია ჭავჭავაძის ღირსების დაცვის მიზნით, მინიმუმ, ყვარელში აქციები არ გამართულა.

ახლა კი, მთელი კვირაა, ერეკლეს საბაბით ერი სოცქსელში, ლამის, ერთმანეთს ხოცავს.

გვინდა თუ არა, ფაქტია – გეორგიევსკის ტრაქტატი, სწორედ ერეკლე მეორის მეფობის დროს დაიდო. სხვათა შორის, სხვადასხვა ისტორიულ წყაროში მინიშნებულია, რომ მეფის ოჯახი ამ ტრაქტატის დადების მოსურნე არ იყო.

არც ის გახლავთ დასამალი, რომ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, პირველივე ბრძოლაში, რუსებმა გვიღალატეს. არადა, „გეორგევსკის“ მიზანი ჩრდილოეთისგან, სწორედ სამხედრო თანადგომა იყო.

აქვე, ისიც გავიხსენოთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი თუ ილია ჭავჭავაძე ამ ტრაქტატს არ ამართლებდნენ.

ჰოდა, საკითხავია, ამ ხალხმა ახლა პირველად გაიგო, რომ ერეკლეს გადაწყვეტილებას მოწინაღმდეგეები ადრეც ჰყავდა, ახლაც ჰყავს და მომავალშიც ეყოლება?

თუ პირველად არ გაუგიათ, მაშინ რას ემსახურება მეფის მხარდასაჭერი აქციები?

სხვათა შორის, გამოთქმა – „სად ერეკლე და სად – ჩემი... და თეკლე“, ძველია. თუ კარგად ჩავუკვირდებით, შეიძლება, დავასკვნათ, რომ ეს სხარტულაც მეფის შეურაცხყოფაა. მაშინ, რატომ არ გამოვედით ღირსების დასაცავად აქამდე ქუჩაში?

„ვერსია“, ბუნებრივია, არაფერს ამტკიცებს, მაგრამ რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ იგივე ბერძენიშვილის მიერ, ერეკლესადმი ნათქვამი მავანმმა სათავისოდ გამოიყენა ანუ ამ კუთხით, მოწყვლად ფენას თემა „შეუგდო“, ნახე, მეფეს როგორ გიგინებენო და ხალხიც აჟიტირდა.

თუ ამ ვერსიას გამოვრიცხავთ, მაშინ, რასთან გვაქვს საქმე? – ახლა, ვინც რა უნდა თქვას, ნიძლავის დადება შეიძლება, რომ მათმა უმეტესობამ, რომლებიც „ლაივსა“ თუ სოცქსელში ერეკლეს იცავენ, მეფის შესახებ, მხოლოდ საბავშვო მოთხრობიდან – „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“, ან რომელიმე ქართული მხატვრული ფილიდან თუ იცის.

სწორედ ასეთი ზერელე ცოდნაა იმაში დამნაშავე, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა პოლიტიკოსი, ისტორიკოსი და ანალიტიკოსია.

სხვათა შორის, სოციალურ ქსელში ბევრი ხუმრობს, ერთი აქცია დავით აღმაშენებლის, ვახტანგ გორგასლის ან რომელიმე სხვა მეფის სოლიდარობის მიზნითაც ხომ არ „მოვხოდოთო“.

ხუმრობა იქით იყოს და, ქვეყანაში, სადაც უამრავი პრობლემაა, სადაც არაერთი ბავშვი შიმშილობს, სადაც პენსიონერებს პენსია არ ჰყოფნით და, ბოლოს და ბოლოს, ოკუპირებულია, არაფრისმომცემ თემებზე კამათი და ერთმანეთისთვის ლაფის სროლა, ალბათ, მაინცდამაინც კარგი არ არის. უფრო მეტიც, ყველაფერი ეს ამძაფრებს ეჭვს, რომ ვიღაც მიზანმიმართულად ცდილობს, არსებითიდან ყურადღება სხვა რამეზე იქნას გადატანილი, თორემ თუ ასე არ არის, მაშინ, ყველა ლოგიკით, არაფრისმომცემ აქციებს კი არ უნდა ვატარებდეთ, არამედ, იმაზე უნდა ვდარდობდეთ, ევროკავშირი წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მოგვცემს თუ არა.

სხვათა შორის, 31 მაისს, ცნობილი გახდა, რომ ამ თემის განხილვას ევროსაბჭო ივნისში დაუბრუნდება.

„ევროკავშირის ლიდერებმა გაითვალისწინეს კომისიის მოსაზრებების მომზადება უკრაინის ევროკავშირში წევრობის განაცხადის შესახებ, ასევე, მოლდოვასა და საქართველოს ევროკავშირში წევრობის განაცხადის შესახებ და აღნიშნეს, რომ ამ საკითხს ივნისის შეხვედრაზე დაუბრუნდებიან“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გიორგი ფხაკაძე: „დაწყნარდით, დამშვიდდით!“

გვემუქრება თუ არა „მაიმუნის ყვავილის“ პანდემია და ახალი „ლოქდაუნი“

სალომე ნოზაძე

მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშეა – იშვიათი ვირუსი, რომელიც „მაიმუნის ყვავილის“ სახელითაა ცნობილი, აქამდე, ძირითადად, ცენტრალურ და დასავლეთ აფრიკაში გვხვდებოდა. ბოლო დღეებში კი მსოფლიოს სხვა ნაწილებშიც გავრცელდა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) განცხადებით, ორგანიზაციის წევრ 12 სახელმწიფოში, „მაიმუნის ყვავილის“ 92 შემთხვევა დადასტურდა. WHO-ში განმარტავენ, რომ ეს ციფრი საყურადღებოა, რადგან აღნიშნული ტერიტორიები დაავადებისთვის არც ენდემურია და არც პაციენტების დიდ ნაწილს აქვთ იმ რეგიონებში მოგზაურობის ისტორია, სადაც მანამდე დაავადების შემთხვევები ფიქსირდებოდა. რამდენად საშიშია და როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან „მაიმუნის ყვავილი“ – „ვერსია“ ჯანდაცვის მსოფლიო ექსპერტს, პროფესორ გიორგი ფხაკაძეს დაუკავშირდა:

– პანიკური სიტუაცია არ არის საქართველოსა და ჩვენი რეგიონისთვის. საყურადღებო ნამდვილადაა, მაგრამ არა მარტო ეს ვირუსი, არამედ, ბევრი სხვა ვირუსიც. კოვიდის შემდეგ, ყველა შეშინებულები ვართ და როდესაც რაღაც ახალი ხდება, გვეშინია, კიდევ ხომ არ ჩავიკეტებით... მინდა, ყველა დავაწყნარო, რომ არავინ ჩაიკეტება „მაიმუნის ყვავილის“ ვირუსის გამო. ეს არ არის ისეთი ტიპის ვირუსი, რომ გლობალურად პანდემია გამოცხადდეს და ჩავიკეტოთ. ეს ვირუსი ცირკულირებს 50 წელზე მეტია, აფრიკაში ახლაცაა და, სხვათა შორის, წელიწადში, მარტო კონგოში – 6000, ნიგერიაში კი – 3000 შემთხვევა ფიქსირდება. ენდემური დაავადება იმას ნიშნავს, რომ მუდმივადაა საზოგადოებაში. ძირითადად, გადადის ცხოველიდან ადამიანზე და ყოველწლიურად, ევროპასა და აშშ-ში, ეს ვირუსი ორ-ათ პაციენტს უფიქსირდებოდა. აქედან გამომდინარე, უნდა დავწყნარდეთ, პანიკური ვითარება არა, მაგრამ საყურადღებო კი არის. რაც კარგი ამბავია ამ ვირუსთან დაკავშირებით, ისიცაა, რომ მეცნიერებმა და ექიმებმა ამ ვირუსის შესახებ ბევრი რამ იციან, 70-იანი წლებიდან დაიწყო ამ ვირუსის შესწავლა, მისი მართვა და მკურნალობა ექიმებისთვის ცნობილია და პროტოკოლიც არსებობს. სხვათა შორის, 2022 წელს, ევროპის წამლის სააგენტომ დაამტკიცა ერთი წამალი, რომელიც პაციენტს ეხმარება მკურნალობაში ამ კონკრეტულ ვირუსთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, იდეალური არ არის, მაგრამ წამალი არსებობს.

– როგორ მიმდინარეობს ეს დაავადება?

– მიმდინარეობა ისეთია, რომ, პრაქტიკულად, თვითმკურნალობით მთავრდება ყველაფერი. ადამიანი უნდა იყოს იზოლაციაში და სიმპტომური მკურნალობა სჭირდება – თუ მაღალი ტემპერატურა აქვს, სიცხის დამწევი უნდა მიიღოს და ასე შემდეგ. დაავადების ეს ვარიანტი, რომელიც ახლა გავრცელდა, მსუბუქია. ზოგადად, ამ ვირუსს ბევრი ვარიანტი აქვს, მაგრამ ორი ძირითადია და რაც გავრცელდა, სიკვდილიანობა დაბალი აქვს. მართალია, შესახედაობა არასასიამოვნოა და ვიზუალურადაც ტოვებს ლაქებს, მაგრამ კატასტროფულად პანიკური არაა. ქვეყნები არ დაიკეტება და კარანტინი არ გამოცხადდება ამ ვირუსის გამო.

80-იან წლებამდე, ყვავილზე ყველა იყო აცრილი და ამ ადამიანების 85%-ს იცავს ეს აცრა. მართალია, მაშინდელი აცრა ამ კონკრეტული ვირუსისთვის არაა, თუმცა არის საშუალებები, რომლებიც დაცულად გაგრძნობინებენ თავს.

– რამდენად ადვილად გადადის ეს ვირუსი ადამიანიდან ადამიანზე?

– გადაცემის ორი გზა არსებობს – ჰაერწვეთოვანი გზა და ადამიანის სითხე, შეიძლება, გადამდები იყოს კოცნა. სხვათა შორის, პირბადეები არ არის ცუდი ამბავი და გამოვიყენოთ! საერთოდ, კარგი იქნება, თავი შევიკავოთ და გვყავდეს მხოლოდ ერთი პარტნიორი, ან ვიყოთ დაცულები.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჰომოსექსუალებში უფრო მარტივად ვრცელდება, ეს რამდენად რეალურია?

– კარგით, რა, ეს არის აბსურდი! ჰომოფობია და ქსენოფობია ყველგანაა და ეს ინფორმაცია ისეთი სასაცილო ტყუილია, რომ მეტი არ შეიძლება. აქ საუბარი იმაზეა, რომ პირველი შემთხვევა ბისექსუალ მამაკაცს დაუფიქსირდა და რატომ? – იმიტომ, რომ ეს ადამიანები საკუთარ თავს უვლიან და ექიმთან დადიან, მეტი არაფერი. ქალებზეც გადადის, ბავშვებზეც და ვირუსმა არ იცის ასაკი, არც ორიენტაცია, არც კანის ფერი... ახლა, გადახედეთ ქართულ საზოგადოებას, რამდენი მამაკაცი დადის ექიმთან? – დაფიქრდით, ჩვენი მამაკაცებს, სანამ რეანიმაცია არ დასჭირდებათ, ექიმთან ვერ წაიყვან! ზოგადად, ეს არის მენტალური პროცესი, შეიძლება, ძალიან აწუხებდეს რამე, მაგრამ ვერ მიიყვან საავადმყოფომდე.

– საშიშია ეს ვირუსი საქართველოსთვის?

– ეს ვირუსი არ არის საშიში, განსაკუთრებით საქართველოსთვის. ვერ ვხედავ პანიკურს ვერაფერს, ერთადერთი, რაც ჩვენმა ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა გააკეთოს, ესაა ბოქსირებული პალატების გადამოწმება, რაც კანონმდებლობითაც სავალდებულოა. როცა ადამიანი დაავადებულია, ყველაზე კარგი მკურნალობა არის კარანტინი ანუ უნდა იყოს იზოლაციაში. ქვეყანა კი არა, ადამიანი უნდა იყოს იზოლაციაში 2-დან 4 კვირამდე.

– რა კონკრეტული რეკომენდაციები არსებობს ამ ვირუსთან დაკავშირებით?

– გიმეორებთ, ეს ძალიან ძველი ვირუსია. ვაქცინები და წამლები არსებობს, მკურნალობის პროცესიც ვიცით. ასევე, კიდევ ერთი პოზიტიური ასპექტი ამ ვირუსისა ისაა, რომ ძირითადად ვრცელდება ცხოველიდან ადამიანზე, ხოლო ადამიანიდან ადამიანზე გავრცელება ძალიან იშვიათია.

ახლა, შევხედოთ სხვა კუთხით, ნახეთ, რა ხდება დედამიწაზე – COVID-19, ძირითადად, ევროპასა და ამერიკაშია. მოსახლეობის უმრავლესობა აცრილია, მე ახლა პარიზში ვარ, არავის არ უკეთია პირბადე, მოზარდი მოსახლეობის 90% აცრილია და ყველა დაიღალა COVID-ჩაკეტვებით. ევროპასა და ამერიკაში, ახლა, კლუბში ადგილს ვერ ნახავთ, ხალხს კლუბებში სიარული და ურთიერთობა უნდა. COVID-19 არსად წასულა, ეს უნდა გვახსოვდეს და ჩემი აზრით, კორონავირუსს უფრო დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ამ ორწლიანმა სტრესმა გვაჩვენა, რომ სექსუალური გზით გადამდები დაავადებები მოიმატებს გლობალურად. მიზეზი ძალიან მარტივია – სტრესია დაგროვებული, ურთიერთობის ნაკლებობა... ადამიანები ფიქრობენ, მეტი რაღა უნდა დაგვემართოსო და რისკებს ნაკლებად აფასებენ. რისკების არასწორი შეფასების შედეგად კი მივიღებთ სექსუალური გზით გადამდები დაავადებების პიკს. აი, ეს არის საშიში, მე, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტი, იმაზე ვამახვილებ ყურადღებას, რომ ეს არის ინდიკატორი. ეს „მაიმუნის ყვავილის“ ვირუსიც კი არის პატარა მაჩვენებელი, რომ ადამიანები დაიღალნენ ამ სტრესისგან და ჩვენ გვექნება „სიფილისის“ აფეთქება და შეიძლება აივ-ინფექციაც წამოგვეწიოს. ამიტომ, პრევენცია, პრევენცია და პრევენცია! ფრთხილად იყავით, დაიცავით თავი და შეაფასეთ რისკები!

გავიმეორებ, არ მგონია, „მაიმუნის ყვავილის“ ვირუსის გავრცელება საქართველოში პრობლემა იყოს. ახლა ყველას სჭირდება პანიკა – COVID-19 დამთავრდა და რაღაცაზე ხომ უნდა ილაპარაკონ?! გეუბნებით, კორონავირუსი უფრო საშიშია, არსად წასულა, პოსტკოვიდური სიტუაცია უფრო საშიშია, რადგან მენტალური პრობლემა გაცილებით სახიფათოა. მენტალური პრობლემაა, ხომ, როდესაც ავტობუსში ორი ქალი დაჭრეს, ეს ადამიანობაა?! ესეც ერთ-ერთი მანიშნებელია, რომ ძალიან დიდი სტრესია საზოგადოებაში და არ ვიცით, რა იქნება ხვალ, ხვალინდელი დღის იმედი დაეკარგა ძალიან ბევრ ადამიანს.

„მაიმუნის ვირუსთან“ დაკავშირებით, დაწყნარდით, დამშვიდდით, თუ იქნება რამე საგანგაშო, აქ ვარ და გეტყვით! სხვათა შორის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტები შეიკრიბნენ, შეაფასეს მსოფლიოს მდგომარეობა და თითოეული ქვეყნის „ქეისი“ შეამოწმეს, რეკომენდაციაც მისცეს ამ ქვეყნების ჯანდაცვის სამინისტროებს. საქართველოში ასეთია დაავადებათა კონტროლის ცენტრი, რომელსაც გადასცეს ეს რეკომენდაცია და ყველა ინფორმირებულია. თუ რამე იქნება, იმ წამსვე ამოტივტივდება და დაავადებათა კონტროლის ცენტრი თავის საქმეს გააკეთებს. სისტემა ამუშავებულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ალბათ, კიდევ გამოვლინდება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ორ-სამ კვირაში, ეს თემა საერთოდ დაიხურება.

„ამ პოლიტიკური მოცემულობით, ვერ გეტყვით, რომ შეიძლება, ევროკავშირმა თანხმობა მოგვცეს“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ნონა მამულაშვილი: „ოპოზიციაში სერიოზული სტაგნაციაა და უნდა გადავდგათ ნაბიჯები გაერთიანებისკენ“

საქართველო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მოლოდინშია – მალე გაირკვევა, მოგვანიჭებს თუ არა ევროკავშირი კანდიდატი ქვეყნის სტატუსს. ევროკომისია საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, მოსაზრების დოკუმენტს წარადგენს, რომელზე დაყრდნობითაც, მოგვიანებით, გადაწყვეტილებას ევროპული საბჭო მიიღებს. „ნეტგაზეთმა“ გამოაქვეყნა ის სცენარები, რომლებიც შესაძლოა, საქართველოსთან მიმართებაში განვითარდეს: კანდიდატის სტატუსი დამატებითი პირობებისა და ვალდებულებების გარეშე; კანდიდატის სტატუსი დამატებითი პირობებითა და ვალდებულებებით; პოტენციური კანდიდატის სტატუსი; ჩანაწერი, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი; გადაწყვეტილების მიღების გადადება. ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ ევროკავშირისგან საქართველოს მიმართ უარის თქმის საფუძველი არ არსებობს. რა მოლოდინია, ამ მხრივ, ოპოზიციაში და გრძნობენ თუ არა დასავლეთიდან პირდაპირ სიგნალებს, რომ პარტნიორები მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ფსონს მმართველ ძალაზე კი არა, ოპოზიციაზე დადებენ? ლევან ბერძენიშვილმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, ვინც პოლიტიკაში ოდნავ მაინც ერკვევა, არ გაუჭირდება ამ სიგნალების დანახვა და 2024 წელს, „ქართული ოცნება“ მმართველობას დაკარგავსო. ამ საკითხებზე, „ვერსიას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერი, ნონა მამულაშვილი ესაუბრა:

– ქალბატონო ნონა, რა მოლოდინი გაქვთ, ევროკავშირისგან თანხმობას მივიღებთ?

– დიდი სურვილი მაქვს, „ქართული ოცნების“ მავნებლობის მიუხედავად, მივიღოთ კანდიდატის სტატუსი, მაგრამ ვხედავთ, რა განცხადებები გამოქვეყნდა „ტვიტერში“ იმ ევროპარლამენტარების მხრიდან, რომლებსაც შურაცხყოფას აყენებს „ქართული ოცნება“ ყოველ დღე, მათ შორის, ვიოლა ფონ კრამონს. რაც მათ „ტვიტებში“ წერია, შეიძლება, იყოს გადაწყვეტილება, რასაც ევროკავშირი გაგვაცნობს ანუ კარი არ იკეტება, მაგრამ წადით სახლში და იმეცადინეთ დემოკრატიაშიო...

– ევროკავშირი გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სახელმწიფოს, საზოგადოებისთვის და თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა სახელისუფლებო ძალა მხოლოდ დროებითი მმართველია, სტატუსის მინიჭებისას, გადამწყვეტი ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულება არ უნდა იყოს...

– თუ ისეთი გადაწყვეტილება იქნება, რაც ვიოლა ფონ კრამონმა „ტვიტერში“ დაწერა, არ გვეუბნებიან უარს, მაგრამ ამბობენ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს „სამეცადინო“, რათა რეალური დემოკრატიისკენ გავაგრძელოთ სვლა. როგორც გვეუბნებიან და ვხედავთ კიდეც, შევაჩერეთ ეს პროცესი, რადგან ყველაფერი, რაც ევროკავშირმა მოითხოვა, შარლ მიშელის დოკუმენტის ჩათვლით, დააიგნორა „ქართულმა ოცნებამ“ და თავზე გადაახია საქართველოს მოსახლეობას. უდიდესი სურვილი მაქვს, მიგვიღონ, მაგრამ ამ პოლიტიკური მოცემულობით, ვერ გეტყვით, რომ შეიძლება, ევროკავშირმა თანხმობა მოგვცეს, რაც ძალიან ცუდი, მაგრამ დროებითი იქნება.

– ხელისუფლებას აკრიტიკებთ, რომ არ გადაიდგა ევროკავშირში გაწევრიანების კუთხით შესაბამისი ნაბიჯები, მმართველი ძალა კი ოპოზიციისკენ იშვერს ხელს... სად გადის ჯანსაღი კრიტიკის ზღვარი, რომ ევროპული ოჯახის თვალში, სახე შევინარჩუნოთ და კანდიდატის სტატუსის ღირსად ჩაგვთავლონ?

– ჯანსაღად ვაკრიტიკებთ ხელისუფლებას ჩვენც და ევროპარლამენტარებიც, სამწუხაროდ, „ქართული ოცნება“ ნებისმიერ კრიტიკას უპირისპირებს ზიზღის ენას. იმ დასავლელ პარტნიორებს, რომლებიც საქართველოს ინტერესებს იცავენ, უწოდებენ ნაციონალური მოძრაობის ლობისტებს, კრიმინალების მფარველებს და საოცარ განცხადებებს ვისმენთ... როცა გინდა, რომ შენმა ქვეყანამ გადადგას ნაბიჯი ევროკავშირისკენ და იცი, რომ ასეთი გამონათქვამები პირდაპირ მიდის ევროკავშირში; როცა ასეთი მძიმე კრიტიკის ფონია; არ ასრულებ ევროკავშირის მიერ წამოყენებულ პირობებს და ამ ფონზე, ეძებ ვიღაცას, რომ რამე გადააბრალო... ერვოკავშირს საქართველოში ჰყავს საკუთარი მისია, უამრავი დამკვირვებელი, რომელიც აკონტროლებს, თუ რას აკეთებს მმართველი ძალა. შესაბამისად, გადაწყვეტილებაც იქნება ანალოგიური. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ამ შემთხვევაში, იდეალიზმი სძლევს ევროკავშირს, ვიდრე – პრაგმატიზმი და საქართველოს მოსახლეობას მისცემს შანსს და არა – საქართველოს მთავრობას, თუმცა ამ ფონზე, ეჭვი მეპარება, ასე მოხდეს.

– რამდენიმე დღის წინ, ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, დასავლეთიდან მკვეთრი სიგნალები მოდის და მომავალ არჩევნებზე ხელისუფლება შეიცვლებაო. ამ სიგნალებს თქვენც გრძნობთ?

– „ქართული ოცნებიდან“ სიგნალებს საკუთარ თავზე იმით ვგრძნობთ, რომ გვაპატიმრებენ – ოპოზიციური პარტიების თუ მედიების ლიდერებს. რაც შეეხება დასავლეთიდან სიგნალებს, თუ გავაანალიზებთ, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში, რა კომუნიკაციაც აქვს ხელისუფლებას დასავლეთთან, ალბათ, ვერ გაიხსენებთ ერთ ევროპარლამენტარს, კონგრესმენს ან სენატორს, რომელიც დადებითად მოიხსენია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა. ეს იმის მანიშნებელია, რომ მეგობრები არ ჰყავთ და ეს შედეგი მათმა მავნებლურმა პოლიტიკამ მოუტანა საქართველოს. სამწუხაროდ, ამის ფასს იხდის საქართველოს მოსახლეობა და ესაა ყველაზე მტკივნეული. ქართველმა ხალხმა ნათლად აირჩია გზა, მაგრამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ ფასადი შეენარჩუნებინა და „ტრიუკების“ ხარჯზე მოეტყუებინა, საქართველო მიდის დასავლეთისკენო, მაგრამ სინამდვილეში, ვნახეთ, როგორაა გაზრდილი და გაძლიერებული რუსული გავლენები ქვეყანაში. ამიტომ, დიდი იმედი მაქვს, რომ 2024 წლისთვის, ეს ხელისუფლება აღარ იქნება მმართველობაში... ვისურვებდი, რომ უფრო მეტი ახალი ადამიანი შემოვიდეს პოლიტიკაში, რომელიც ახალი ხედვით, სხვანაირად წარმოაჩენს საქართველოში არსებულ პრობლემებს. მოსახლეობას სჭირდება სიახლე და როცა ვერ ან არ ასრულებ ხალხის დაკვეთას, უნდა გადადო პირადი ამბიციები და დაუთმო ასპარეზი მომავალ თაობას. ეს ბევრ პოლიტიკურ ლიდერს უჭირს და ამის შეცვლა იქნება ძალიან რთული, მაგრამ არა – შეუძლებელი.

– მიხეილ სააკაშვილს გულისხმობთ, მას უჭირს, რომ გზა ახალგაზრდებს დაუთმოს?

– მიხეილ სააკაშვილს ღიად აქვს გაცხადებული, რომ არ აპირებს ქართულ პოლიტიკაში დაბრუნებას. მას ერთადერთი რამ უნდა – შესაძლებლობა ჰქონდეს, საქართველოში ჩამოდიოდეს მაშინ, როცა მოესურვება, როგორც ამ ქვეყნის მესამე პრეზიდენტს და ადამიანს, რომლის სახელსაც უკავშირდება უზარმაზარი რეფორმები. ამ ერთადერთი მოთხოვნის გამო ზის ციხეში და იმედია, სავალალო შედეგით არ დასრულდება მისი საქართველოში დაბრუნება.

– ახლა გამახსენდა ენმ-ს ბოლო რეორგანიზაცია, როცა ნიკა მელიამ ახალი სახეები წარგადგინათ, თუმცა თქვენს გარდა, არც ერთი მათგანი არ აქტიურობს და პარტიაში ისევ „ძველები“ არიან წინა ხაზზე. არადა, ენმ ყველაზე მრავალამომრჩევლიანი ოპოზიციური პარტიაა და რა უდგას წინ, რეალურ რეორგანიზაციას, პარტიის „ახალგაზრდული სისხლით“ გადახალისებას?

– უნდა დავიბრუნოთ ამომრჩევლის ნდობა და რეალურად ვაჩვენოთ, რომ არა მხოლოდ სიტყვით ვახდენთ ცვლილებებს, არამედ, საქმითაც. საქმით კი ჯერ ვერ ვაჩვენებთ, რომ ცვლილებებს ვახდენთ.

– კი, მაგრამ ვინ არის ამაში დამნაშავე, პარტიის „ლიდერშიფი“?

– დამნაშავეების ძებნას ხომ არ დავიწყებთ? ყველა ვართ ამაში დამნაშავე, ვიზიარებთ ამ პასუხისმგებლობას, უფრო მეტი ენერგია და მონდომება უნდა ჩაგვედო და ახლაც, როცა ვხედავთ, რომ საკმაოდ სერიოზული სტაგნაციაა ოპოზიციაში, უნდა გადავდგათ ნაბიჯები გაერთიანებისკენ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან, რადგან ესაა ერთადერთი, რაც გადაგვარჩენს და მოგვაგებინებს არჩევნებს. ცალ-ცალკე, ჩვენ ვართ ძალიან სუსტები და მიუხედავად პროცენტულობისა, ცალ-ცალკე, ყოველთვის მოგვერევა „ქართული ოცნება“, რადგან მას აქვს უზარმაზარი რესურსი. ამ მოცემულობით, ურთულესია რაიმეს შეცვლა, თუ არ მოხდა გაერთიანება... ყველა მეთანხმება, რომ ეს უნდა მოხდეს, მაგრამ სამწუხაროდ, მე გადაწყვეტილების მიმღები არ ვარ. ერთი რიგითი თანამშრომელი ვარ, რომელიც განიცდის, საკუთარ აზრს აზიარებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა იზიარებს იმას, რასაც ვამბობ ხოლმე. ამიტომ ვფიქრობ, უფრო მეტი „ბრეინშტორმინგი“ სჭირდება, თუ როგორ უნდა გამოვიდეთ ასეთი კრიზისული ვითარებიდან ისე, რომ ქვეყნის ინტერესები არ დაზიანდეს.

– ხმა დადის, რომ შეიძლება, ენმ-ს, ნიკა მელია თავის გუნდით გამოეყოს და ცალკე პარტია შექმნას. მართალია?

– არა, ეს არის სპეკულაციები. ნაციონალური მოძრაობის დაშლით, არ ვფიქრობ, რომ რამე შეიცვლება დღევანდელ პოლიტიკურ ველზე. რეალური განახლებით, ახალი სტრატეგიითა და ახალი ხალხის მოსვლით, კი, ბატონო, ვფიქრობ, დიდი შესაძლებლობა გაჩნდება, რომ საქართველოს მოსახლეობა, რომელიც აპათიაშია, შემოვაბრუნოთ და იმედი დავუბრუნოთ.

ბუგეული

ქვათა მატიანე
ქვემო რაჭა

საყდრის ქვას თვალიც აქვს

გელა ქოქიაშვილი

ხვანჭკარას ციხისა და ეკლესიის ნაშალი

მწუხრის დადგომამდე 2 საათიღა თუ რჩება. ვცდილობთ ეს დრო მაქსიმალურად ავითვისოთ. ვატყობ, რომ ჩემი მეწყვილე სოზარ სუბარი საჭის ტრიალით დაიღალა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს. არადა ეს გზა (წკადისი – ხოტევი --ზნაკვა – ქედისუბანი) წინა დღეს გავიარეთ. აღარც სოფელ ზნაკვის ჯვარისაში ვჩერდებით, რომელისაც გასულ საუკუნეში შრომა დაარქვეს. მისი ძველი ეკლესია კარგახნის წინ დაიშალა. ერთ დროს სწორედ იგი ინახავდა V საუკუნის ვერცხლის კომპაქტურ ჯვარს, რომელიც, ასევე მოვერცხლილი ბუდით მხოლოდ 19 სმ. იყო სიგრძეში. იგი ვახტანგ გორგასლის დედის, საგდუხტ დედოფლის მიერ ყოფილა შეკვეთილი. ამას ადასტურებდა უძველესი ასომთავრული მონასმით შესრულებული წარწერა: **„წმიდაო გრიგოლ საკვირველმოქმედო, შენდა შევედრებოვილი მხევალი შენი საჰაკდოვიხტ დაიცავ ყოვლისაგან ბოროტისა“.**

...ბუგეულში შევდივართ, რომელიც ბუაძეების, ფოფხაძეების, იმედაძეების, ჭელიძეების, სოხაძეების, გორდეზიანების და მაისურაძეების 200-კომლიანი დასახლებაა. აქ აღარ ცხოვრობენ 5 საუკუნის წინათ ხიდურ-ლაფურის ხეობიდან ჩამოსული გიორგობიანები და ლაშხიშვილები, რომელთა გვარებთანაა დაკავშირებული ბუნებისა და კაცისაგან შექმნილი ორი ძეგლი: გიორგობიანების ერთადერთ და ისიც მიტოვებულ სახლის ეზოში დგას ათასწლოვანი, უშველებელი მუხა – ამ გვართან საკრალურად დაკავშირებული ხე. მეორე ძეგლი, ღვთისმშობლის ეკლესია, სოფლის თავში, დასახლებულ ადგილზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 600 მეტრის სიმაღლეზეა. მისი ჩრდილოეთი მხარე რიონის ხეობას გადაცქერის. ეკლესიის ძირითადი ნაგებობა (8X4,5მ.) XIV საუკუნის აქეთ არ უნდა იყოს აგებული. ამას ზოგიერთი სამკაული, მეტადრე კი ცოკოლის გრეხილი ლილვი ცხადყოფს. XVI-XVII სს-ში ტაძრისთვის, სამხრეთის მთელ გაყოლებაზე მოზრდილი ეკვდერი მიუდგამთ, ხოლო 1838 წელს ძირითადი დარბაზი შეუკეთებიათ და ჩრდილოეთის ყრუ კედელში სარკმელი გაუჭრიათ. XIX საუკუნის ამ შეკეთების მაუწყებელი მხედრული წარწერა სწორედ აქაა. მასში ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ კედლის ერთი ნაწილი ჩამოშლილა და კნიაზ პრაპორჩიკ ალმასხან წულუკიძის თაოსნობით აღდგენილა. მეორე წარწერაში ნახსენებია წულუკიძის მოურავი, მისი დამხმარე აზნაური ვასილ სანიკიძე.

ბუგეულის „ღვთისმშობელი“ შიგნით მთლიანად მოუხატავთ XVI-XVII საუკუნეებში. ფრესკები საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი. სახარებისეული სიუჟეტების და წმინდანების გარდა, კედლები ლაშხიშვილების პორტრეტებითაა სავსე, თუმცა სამხრეთ კარის წირთხლზე გამოსახულია სამღვდელო პიროვნება მიქელ კობერიძეც.

სამხრეთ კარიდან აღმოსავლეთით დახატულია ორი უწვერულვაშო ახალგაზრდა, რომელთაგან ერთს ეკლესიის მღვდელმსახურის სამოსი აქვს, მარჯვენა ხელით აკურთხებს,ხოლო მარცხენაში გრაგნილი უკავია. მისი განმარტებითი წარწერიდან შემორჩენილია მხოლოდ სახელი – **„გიორგი“**. საერო სამოსში გამოწყობილი ახალგაზრდის სახელია **„გულაბად“**. ამავე კედელზე, ოღონდ დასავლეთ მონაკვეთში, გამოსახული არიან **ლაშხიშვილები: ზაზა, მისი მეუღლე კეკლუცი, ლაშხა, მისი მეუღლე იღიშაზარი და მათი ასული ლაჟვარდი.** მთავარი ქტიტორული ფრესკები ჩრდილოეთ კედელზეა. მათგან მხოლოდ ერთია წელსზევით განადგურებული. დაქარგმებული ასომთავრული წარწერები შემორჩენილია. თავში მდგომი მამაკაცი, რომელსაც ტაძრის მოდელი უკავია, არის **„ლაშხიშვილი ლაშხა“,** მის გვერდით მდგომი მანდილოსანი, რომელსაც სახე აღარ უჩანს, **ლაშხას მეუღლეა – „მარეხი“,** მას შემდეგ რომ კიდევ ერთი მანდილოსანია, ომანის ასული „ღანდუზია“**, ხოლო მის გვერდით** მდგომნი – **„ლაშხიშვილი ომანი“ და მისი მეუღლე „ზოდიო“.** სულ ბოლოში მათი ძეა – **„დედისდედა“**. დიდი ფიქრი არაა საჭირო იმის სათქმელად, რომ XVI საუკუნიდან ეს საყდარი ლაშხიშვილებს ეკუთვნოდათ და ლაშხა ლაშხიშვილს იგი არამარტო ფრესკებით შეუმკია XVI საუკუნეში, არამედ სამხრეთიდან დიდი ეკვდერიც მიუშენებია.

როგორც ზევით ითქვა, ლაშხიშვილები ძირითადად ქვემო სვანეთის თემიდან, ცხენისწყლის სათავეებში მდებარე, ლაშხეთიდან არიან და ქვემო რაჭაში XVI საუკუნიდან არიან დამკვიდრებულები. ამას მოწმობს 1503 წლის საბუთი **„წიგნი სასისხლო საქმისა ბალს-ზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის“.** ამ წიგნში სვანები, რომელთაც მაშინ (1490 წლამდე) მთის რაჭა ანუ ღებისხევი ეკუთვნოდათ, ასე წერენ: **„ჩამოვედით ლეჩხუმს და რაც სავაჭრო გუახლდა გავჰყიდეთ და ვისაქმეთ. ავჰკიდეთ ღუინო და წამოვედით. თავი მორჭმული გუეგონა, აღარას მოველოდით. თურმე კუჭაიძე და ლაშხიშვილი შემოჩენილი გუყუა. როგორც ჩუენ სავაჭროდ ჩამოვედით, კუჭაიძესა და ლაშხიშვილს თქუენთვის კაცი გამოეგზავნა. თქუენ სრულიად რაჭველნი შეგეყარა და ასრე მოსულიყვენით რეხტაშიგა, რომ ჩუენ თქუენი მოსლვა ვერათ საქმით ვერ შევიტყევით. წინათ თქუენ დაგუხუდით, უკანით კუჭაიძე, ლაშხიშვილი, ინასარიძე და გარეყანიძე მოგუეწივნეს...“** ამ საბუთიდან ირკვევა, რომ უკვე XVI ს-ის დასაწყისში ლაშხიშვილები მკვიდრად სხედან რაჭის მამულებში, ხოლო მათი მეზობლები კოჭაიძეები (კენჭაძეები ?), ინასარიძეები და გარაყანიშვილები არიან. კენჭაძეები, როგორც ვიცით, ქედისუბანს ფლობდნენ. ერთი სიტყვით, სვანებს, წინიდან ჯაფარიძეები და უკნიდან ესენი რომ მოდგომიან, დიდი ზარალი უნახავთ.

ეს საბუთი იმიტომ მოვიტანეთ, რომ დასახლების თარიღს მივახლოვებოდით და გვენახებინა, სვანური წარმომავლობის მიუხედავად, როგორ მტრობდნენ წულუკიძეები და ლაშხიშვილები სვანებს (ამის თაობაზე იხ. წინა ნარკვევი „ძველი და მათზე ძველი პატრონები“).

ბუგეულიდან დასავლეთით, რიონის მარცხენა სანაპიროზე **პატარა ონის** ორი ეკლესიის გარდა ხუროთმოძღვრულ-მხატვრული ნიშნებით გამორჩეული სხვა საყდრები არ გვეგულება, მთის წმინდა გიორგის ანუ იგივე ლეკნარის ეკლესიამდე კი ისეთი გრძელი და აუთვისებელი გზაა, რომ მთელი დღე და კარგი მეგზური დაგვჭირდება. რაც შეეხება შარაულის ხევის ისტორიას, მასზე მხოლოდ მოკლე ინფორმაციით შემოვიფარგლები:

რაჭის ერისთავების, კახაბერისძეების განსხმის შემდეგ, უკვე XIII საუკუნის ბოლოდან, გარაყანიძეთა გვარი დაწინაურდა, რომელიც შარაულას სანახების სოფლებს დაუფლებია. ეს გვარი XIII ს. ონის, ღებისა და ხონჭიორის ეკლესიებში ნანახი იშვიათი ხელობის ხატების წარწერებში იყო ნახსენები. ამათგან ერთ-ერთს – ფურთუხს სიმამრისთვის, მანდატურთუხუცეს ბეშქენ ვარდანისძისთვის იერუსალიმის ჯვრის მონასტერში სააღაპოდ ორი ათასი თეთრის წითელი გაუჩენია. „გვარები მარადიულად ვერ ზეობენ“: XVI საუკუნის ბოლოს იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ ესტატე გარაყანიძის შვილები თავიანთი მამულებით „ნიკორწმინდას“ გადასცა და ცნობილი სამეფო აზნაურები საეკლესიო აზნაურებად აქცია. როგორც ჩანს, გარაყანიძეებმა ეს დამცრობად მიიჩნიეს და ქართლში გადასახლდნენ. სხვა გარაყანიძეები, ინასარიძეები და ლაშხიშვილები წულუკიძეებმა შეავიწროვეს და რაჭაში აღარ ცხოვრობენ. მაგალითისთვის გავიხსენოთ ამავე წერილში მოტანილი ფაქტი: ბუგეულის „ღვთიმშობელში“ XVI საუკუნის ფრესკაზე ლაშხიშვილები არიან გამოსახულნი, XIX საუკუნეში კი მის ჩამოქცეულ კედელს ალმასხან წულუკიძე აღადგენს.

* * *

საბედნიეროდ, მეორე დღის ცუდი პროგნოზი არ გამართლდა და არ გაწვიმდა. ამბროლაურიდან რიონის მარჯვენა სანაპიროზე გადავინაცვლეთ და სოფელ **კლდისუბანში** ავდივართ.

გვიან შუასაუკუნეებში რაჭის ისტორიაში გამოჩნდნენ იაშვილები, რომლებიც ბოლოს თავადები გახდნენ. ერთი ლეგენდა, რომელიც თ. ბერიძეს აქვს მოტანილი წიგნში „რაჭა“, იმას გვეუბნება, რომ იაშვილები, თითქოს, გობეჯიშვილებთან ერთად, XVII საუკუნის ბოლო მეოთხედში მოვიდნენ ჩერქეზეთიდან. სინამდვილეში ისინი რაჭაში უკვე XV საუკუნიდან ჩანან. იაშვილები მალე გაძლიერებულან და ბოლოს თავადები გამხდარან. მათი სოფლები ყოფილა კლდისუბანი, სადმელი, ბოსტანა, ღვიარა და ერთხანს კრიხიც; სასახლე ღვიარაში და კლდისუბანში ჰქონიათ. ვახუშტი ბატონიშვილი კლდისუბანს ძლიერი ციხის ადგილად მიიჩნევს, თუმცა კლდისუბნის ნაცვლად სოფელ სადმელს ახსენებს. ამ ციხესთან პატარა ეკლესიის „წმ. გიორგის“ ნაშალიღაა დარჩენილი. ქვედა სოფელში მდინარე **რიცეულის** (იგივე სადმელი) მარცხენა მხარეს დგას ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც „ქართუ ბანკის“ სახსრებითაა აღდგენილი. ეკლესია 3 ნაწილისგან შედგება: ცენტრალური დარბაზი, სამხრეთის ეკლესია დ ჩრდილოეთის მინაშენი. ყველაზე ძველი სამხრეთის ეკლესია (7,3X3,3 მ.) IX-X საუკუნისაა, ცენტრალური დარბაზის (10X4,2მ.) ბემა ორი

ბუგეულის „ღვთისმშობელი“, ხედი სამხრეთიდან

ბუგეულის „ღვთისმშობელი“: ლაშხიშვილების ერთ-ერთი ფრესკა და ტაძრის სამხრეთის კარის ჩუქურთმა

და ენაც

ტოლას ციხის გადარჩენილი კედელი

საფეხურითაა ამაღლებული. ეკლესიას ჰქონია ჩუქურთმებით შემკული კანკელი... მეზობელ ღვიარასხევში აღარ შევდივართ – გვითხრეს, იქაური ეკლესია აღარ არისო.

ცენტრალურ გზას დასავლეთით მივყვებით. ვიდრე ხვანჭკარაში შევალთ მცირე ხევს უნდა გადავიდეთ. ამ ხევის აქეთ-იქით ორი სოფელია: დიდი ჩორჯო და პატარა ჩორჯო. აქედან დასავლეთით, **ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლების სურმუშისა და ქვედა საირმის ხაზამდე, რიონის მარჯვენა სანაპიროზე, ერთი მიკროქვეყანაა და მის შუაგულში მდინარე ასკისწყალი ჩამოედინება. მას, ძალიან დიდი ალბათობით, მდინარის სახელიდან გამომდინარე, ასკალანი უნდა რქმეოდა, ის ასკალანი, რომელიც „მატიანე ქართლისაიში“ გვხვდება:** 1073 წელს ახალგაზრდა გიორგი II-ს ნიანია ქვაბულისძემ, ივანე ლიპარიტისძემ და სვანთა ერისთავმა ვარდანმა „ქვეყანა აუშალეს“. ჭაბუკი მეფე დათმობაზე წავიდა და სამთავეს მოთხოვნები დაუკმაყოფილა. ასე მაგალითად, „ვარდანს უბოძა ასკალანი და უთაღობო ჯაყელთა.“ ასკალანის თაობაზე ჩემს ვარაუდს ორი გარემოება უწყობს ხელს: ა) ლეჩხუმი (სკვიმნია), შემდგომ ოდნავ გაფართოებული თაკვერის სახით, ოდითგან ერთ-ერთი სვანური ტომით – ჩხუმებით (ჩხვიმები) იყო დასახლებული და რაკი იგი სვანთა საერისთავოს ეკუთვნოდა XI საუკუნეში, ვარდანს ასკალანზე სამართლიანი პრეტენზია ექნებოდა; ბ) სოფლის დასახელება „ჩორჯო“ ნაწარმოები უნდა იყოს ძველქართული სიტყვიდან „ჩორდი“, რაც სხვა ქვეყანას და მის საზღვარს – კარიბჭეს ნიშნავს. ეს სიტყვა სამჯერ გვხვდება „შუშანიკის წამებაში“: 1. „ხოლო პიტიახში ჩორდ წარემართა“; 2. ვარსქენი ეუბნება შუშანიკს: „უკეთუ არ მოხვიდე შინა ჩორდ წარგცე, შენ ანუ კარად კარაულითა“ (ანუ შინ თუ არ დაბრუნდები, ვირზე შეგსვამ და ისე გაგაგდებ კარში, უცხო ქვეყანაში – გ.ქ.); 3. შუშანიკი უპაუხებს: „მე თუ კარად ანუ ჩორდ წარმცე“, ეგების უკეთეს ბედსაც კი ვეწიოო.

ასე რომ, სოფლის **სახელწოდება „ჩორჯო“ რაჭული კილოკავის ჩორდია და ასკალანის აღმოსავლეთით მდებარე მიკროქვეყანაში (სხვა სათავადო ერთეულში) გამავალ კარს გულისხმობს. სხვათაშორის, ამავე სახელწოდების სოფელი – ჩორდი – რაჭის სხვა მონაკვეთშიც გვხვდება. იგი ჯეჯორას ხეობაშია და, ირთან ერთად, კუდაროს საზღვარზეა.**

ქვემო ჟოშხა

ქვემო ჟოშხას ტაძრის სამკაულების ერთი ნაწილი
და თავად ტაძრის ნანგრევის დასავლეთის ხედი

გვიან შუასაუკუნეებში ასკალანში: **ჩორჯოში, ხვანჭკარაში, ტოლაში, ქრებალოში, ჟოშხაში, გენდუშში** (უკანასკნელი ორი აშკარად სვანური წარმომავლობის სიტყვაა) **ყიფიანებს ჰქონდათ მამულები.**

...ხვანჭკარაში – უძვირფასესი ღვინის საფირმო სახელწოდების მქონე სოფელში მივდივართ. თუმცა, პირიქით თქმა სჯობს: ღვინომ მიიღო სოფლის სახელი, თორემ ადრე მას „ყიფიანების ღვინო“ ერქვა. სოფლის სანახებში 3 ციხე-კოშკი და ორი საყდარი ყოფილა. ერთი ძველი ეკლესიისა კვალიც აღარ არის, ორი ციხე-კოშკის ნანგრევები, როგორც გვეუბნებიან, ტყით დაფარულ და მიუვალ კლდეზეა. ამდენად სანახავი და გადასაღები ორი ძეგლი გვრჩება: – სოფლის თავში, ყიფიანების უბნად წოდებულ, კლდეებით შემოსაზღვრულ ადგილზე, არსებული ეკლესიის ნანგრევები და მისგან აღმოსავლეთით მდგარი ციხე-კოშკი. ყოველ შემთხვევაში მათი დახასიათება ასე შემოგვინახა 1930-31 წლებში რაჭაში ნამოგზაურები გიორგი ბოჭორიძის ჩანაწერებმა. მის დროს ღვთისმშობლის მიძინების ამ ეკლესიას კედლები დაზიანებული ჰქონია და უსახურავო ყოფილა. საკურთხევლის კონქში მაცხოვრის და ნათლისმცემლის ფრესკების ნარჩენებია შემონახულიო – წერს იგი. ეკლესიის ზომები 7,8X3,2მ. ყოფილა. ამ ადგილს ვერანაირად ვერ მივაგნებდით, რომ ბედად ახალგაზრდა კაცი ავთანდილ აივაზოვი არ შეგვხვედროდა. და აი, ჭერეხიანი ხევის აღმართში ის მიგვიძღვის, თან საკუთარი გვარის თავგადასავალს გვიამბობს: ბაბუამისი, ჯერ კიდევ მიუსაფარი ბავშვი, ქუთაისში, ჯაჭვის ხიდზე მიუტოვებიათ. იგი უპოვნია ხვანჭკარელ აზნაურ მეტონიძეს. ბავშვს გვარი კი სცოდნია, მაგრამ საცხოვრებელი ადგილი – არა. მეტონიძეს მისი მშობლები ვერანაირად ვერ უპოვნია, ამიტომ ბავშვი შინ წამოუყვანია და უშვლებია, გვარი კი არ შეუცვლია, უთქვამს გაიზრდება, და იქნებ, ნათესავებს მიაგნოსო. ამ ისტორიას იმიტომ გიამბობთ, რომ ავთანდილმა, როგორც მეტად ზრდილმა ახალგაზრდამ, თავი დაგვამახსოვრა, მისნაირების ნახვა ახლა ჭირს.

... ავთანდილი მკვირცხლად მიგვიძღვის, ჩვენ, რა თქმა უნდა, გვიჭირს. ორასი მეტრის დაძლევის შემდეგ ხევიდან მარჯვნივ ვუხვევთ ტყეში და ამჯერად უწყინარი ბილიკით, მანამდე განვაგრძობთ სიარულს, სანამ მცირე ბაქანზე არ გავალთ. აქ დიდი ქვების ოვალური გროვა გვხვდება. მის შიგნით ვიღაცას თუნუქის სახატე ჩაუდგამს. აქედან აღმოსავლეთით, პიტალო კლდეზე, ბუდესავითაა მიდგმული დანგრეული კოშკი. მოულოდნელობა, წუხილი, შეშფოთება გვაწერია სახეზე. შირიმის თლილ კვადრებს ამაოდ ვეძებთ... მხოლოდ მორღვეული კედლების შედუღებული ბლოკები ყრია ზვინად. სხვა დარდიც მეუფლება: შეიძლება ეს ქვებიც გადაყარონ და ძველი საყდრის ნაცვლად უგემოვნო, გაპრიალებლი ხუხულა ააშენონ ეკლესიას მიმგვანებული მოდელით...

... დაღმართს დავადექით. წინ ჭრებულოა. აქედან ერთი გზა პირველი ტოლას მიმართულებით მიდის, მისი პარალელური, დასავლეთის გზა – ჟოშხაში და გენდუშში. სოფელი პირველი ტოლა ბიბლიურ მთასავითაა. მანქანას ხვეული აღმართებით სულ ზევით და ზევით მივყავართ. პირველი მოსახლე რომ ზღვის დონიდან 700 მეტრზეა, ბოლო სახლი 500 მეტრით მაღლა მაინცაა. სწორედ ამ ბოლო მოსახლის, გაგოშიძეების ეზოშია ადრეშუასაუკუნეების დანგრეული ციხის კედლები. იგი გალავნის სახით 4-6 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. როგორც ოჯახის დიასახლისი მეუბნება, გაგოშიძეები აქ ლამის 4 საუკუნეა ცხოვრობენ, ხოლო ეს, ციხე რაც თავი ახსოვს, სულ ასეთ მდგომარეობაშია. გადასაღები ბევრი არაფერია. კოშკის კვალს ვერ ვხედავთ, თუმცა ერთ-ერთი გოდოლი, შესაძლოა, იქ იყო ჩადგმული გალავანში, სადაც მრგვალი კედელია. ვინ იყო VI-VIII საუკუნეებში ამ ციხის პატრონი, მარჩიელიც ვერ იტყვის. აი გვიან შუასაუკუნეებში კი, როგორც ზევით ითქვა, ხეობის მოსახლეობა უმეტესად ყიფიანების ბატონობას ცნობდა.

ყიფიანი სვანური წარმომავლობის გვარია. ლეგენდის თანახმად, მათი წინაპარი გიორგი გოგიაძე, სვანეთის ერთ-ერთის თემის, წვირმის წარმომადგენელი, სახელგანთქმული მებრძოლი ყოფილა. იგი თავისი რჩეული მხედრობით იმერეთის მეფეს დახმარებია ოსმალოსთან ბრძოლაში. გოგიაძე იმდენად თავმომწონე კაცი ყოფილა, რომ მეფესთანაც ამაყად მოქცეულა. ამის გამო მიუცია მეფეს მისთვის ყიფიანობა, თუმცა ამასთანავე ისე მოწონებია, რომ რაჭაში რამდენიმე სოფელი უბოძებია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ გვარს სურამშიც მიუღია სამკვიდრო, ლეგენდაში მოტანილი ამბავი იმერეთის ორი მეფის ბაგრატ II-ის ან ბაგრატ III-ის ხანას უნდა მივაწეროთ.

როგორც ზევით ითქვა, ყიფიანებისა უნდა ყოფილიყო ჭრებალო და მის თავზე მდებარე **ჟოშხა**, რომელიც დღეს ქვემო და ზემო სოფლებადაა დაყოფილი. ქვემო ჟოშხაში 40 კომლია, ზედა ჟოშხაში – 50. ამ პატარა ხეობაში შემდეგი გვარები ცხოვრობენ: ვაწაძე, სანთელაძე, ჩიკვაიძე, კიბაბიძე, ჯინჭარაძე, ქურციკიძე, გიორგობიანი, ფრუიძე, გორდეზიანი, ჭიღვარია, ჯაფარიძე, ყიფიანი, სალუქვაძე, კერვალიშვილი, იაშვილი, ქარსელაძე და სხვა. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ზამთარშიც ადგილზე რჩება.

ჩვენ ქვემო ჟოშხაში, გორდეზიანების უბანში მივდივართ, სადაც სასაფლაოზე მოზრდილი ეკლესია გვეგულება. სამუშაო დღე, შეიძლება ითქვას, რომ წარმატებით სრულდება: ჩვენს წინაშე განვითარებული შუასაუკუნეების საუცხოო, უსახელო საყდრის ნანგრევები აღიმართა (≈ 12x7მ.). გადახურვაზე რა საუბარია, როცა კედლებიც კი ვიღაც მადლიანი კაცის მიერ ხელახლა, უდუღაბოდაა აწყობილი. ერთი კარი, თაღური გადახურვით დასავლეთით, ჩონჩხივითაა შემორჩენილი და ნადარბაზევში აქედან შეიძლება შესვლა. მართალია, სამხრეთით, 2 მეტრის სიმაღლის ქვათაწყობში კარის ნიშნები არ იკითხება, მაგრამ მისი არსებობა მაინც უნდა ვიგულისხმოთ. 2-დან 4 მეტრამდე არსებულ კედლებში მის ხელახლა ამწყობს უამრავი სამკაულიანი ქვა ჩაუტანებია, ბევრი ასეთი ქვა აწყვია დასავლეთის კედელთან, ხოლო ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს სხვადასხვა ზომისა და ფორმის უამრავი ქვა ყრია. ამ ეკლესიის მოცულობის (იგი არსებულზე ორჯერ დიდი იქნებოდა) და მხატვრული გაფორმების წარმოდგენისას ნამდვლად იწამებ, რომ მისი დარი ტაძარი რაჭაში, რიონის მარჯვენა სანაპიროზე არ იყო. თუ ვინმე, გულიანი ბიზნესმენი, გამოჩნდა და მადლი მოისხა, პროფესიონალ რესტავრატორებს ტაძრის აღდგენა, არსებული ქვების გულმოდგინე გამოყენებით, დიდად არ უნდა გაუჭირდეთ.

თითქოს ამ ამაღლებული განცდითა და იმედით ვტოვებ ტაძრის ეზოს, მაგრამ ზურგიდან სევდანარევ მზერას ვგრძნობ...

... ბევრმა არ იცის, რომ საყდრის ქვას თვალიც აქვს და ენაც.

რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა წყალტუბოსა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მორიგი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური წყალტუბოსა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების საქმიანობით დაინტერესდა. დასკვნა, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2019-2020 წლებს ეხება. როგორც მოსალოდნელი იყო, დარღვევები ორივე მუნიციპალიტეტში გამოვლინდა და ძირითადად, ფინანსური რესურსების მართვას ეხება. თუმცა, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ხარვეზები დაფიქსირდა, როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების მართვაში, ასევე, სახელმწიფო შესყიდვებში. ხარვეზების გამოვლენის გამოსასწორებლად, სახელმწიფო აუდიტორებმა ორივე მუნიციპალიტეტისთვის რეკომენდაციები შეიმუშავეს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ხარვეზებია ფინანსური რესურსების მართვაში. კერძოდ, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და განხორციელება, რის გამოც, შესაბამისი საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2019-2020 წლებში, შესაბამისად, 27% და 10% დააკლდა.

„გარდა ამისა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ხარვეზებია ინფრასტრუქტურული პროექტების მართვაშიც. მაგალითად, 1 620 400 ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას, არ არის მიღწეული სამუშაოების დადგენილი ხარისხი, რითაც მოკლე პერიოდში, ობიექტების მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესებულია. შესყიდვების პროცესის კონტროლის სისუსტის გამო, წყალტუბოს მერიამ გეგმა-გრაფიკის დარღვევისას, მიმწოდებლებს პირგასამტეხლო არ დაარიცხა. შედეგად, ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულება დაგვიანდა. ამასთან, მერიამ, დაახლოებით, 178 000 ლარის საჯარიმო თანხა ვერ მიიღო“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართა და საჯარიმო სანქციების ნაწილში, ხელშეკრულებების პირობები იმგვარად განსაზღვრა, რომ ვერ უზრუნველყო მიწოდების ვადების დარღვევის პრევენცია. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების ნაწილში, კონკურენციაც შეზღუდულია. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სამუშაოების შესასრულებლად, დაუსაბუთებლად ამცირებდა საპროექტო ორგანიზაციების მიერ დადგენილ მიწოდების ვადებს, რითაც ზღუდავდა კონკურენციას. შედეგად, შესყიდვების განხორციელებისას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო სატენდერო ეკონომია. ამასთან, არსებობს რისკი, რომ რამდენიმე შემთხვევაში, მხარეები მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით და სამუშაოები განხორციელდა ხელშეკრულებების გაფორმებამდე.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა სარეზერვო ფონდიდან 243 000 ლარი კანონშეუსაბამოდ დახარჯა ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების დასაფინანსებლად, სოციალური დახმარების პროგრამისათვის დადგენილი კრიტერიუმების გარეშე.

ქუთაისის მუნიციპალიტეტი

სახელმწიფო აუდიტორებმა ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები ქუთაისის მუნიციპალიტეტშიც გამოავლინეს. სახელმწიფო მაკონტროლებლების მტკიცებით, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება, რის გამოც, საბიუჯეტო მუხლის შესრულებას, შესაბამისად, 7.1% და 31.9% დააკლდა.

„2019-2020 წლებში, ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასაქმებულ მოსამსახურეებზე, სათანადო დასაბუთების გარეშე, სოციალური დახმარების სახით, ჯამში, 358 200 ლარი გაიცა. დახმარება გაცემულია მერიისა და საკრებულოს მაღალანაზღაურებად თანამდებობის პირებზეც, რომლებსაც, თანამდებობის პირთა დეკლარაციის მიხედვით, სოლიდური შემოსავლები გააჩნიათ. მუნიციპალური განვითარების ფონდთან, სესხის ხელშეკრულების ფარგლებში, ქუთაისის მერიამ 22 669 500 ლარის ღირებულების ავტობუსები მიიღო. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა კონტრაქტით მინიჭებული უფლებები და არ მოითხოვა მიმწოდებლის მხრიდან ავტობუსების ხარისხის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენა. შედეგად, მუნიციპალური ტრანსპორტის სისტემის მართვის პროცესს გააჩნია არსებითი ნაკლოვანებები. ავტობუსების ხშირი დაზიანების გამო, ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია ვერ ახერხებს მგზავრთა სათანადო ხარისხით მომსახურებას“.

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზებია. შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლის სისტემის ნაკლოვანებების გამო, 1 984 500 ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას, არ არის მიღწეული სამუშაოების დადგენილი ხარისხი, რის განოც, ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ქონების განკარგვის პროცესში არსებული კონტროლის სისუსტეების გამო, ქუთაისის მერიამ ვერ უზრუნველყო იჯარიდან მისაღები შემოსავლის სრულად ადმინისტრირება. შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა ააიპ „სპეციალურმა სერვისებმა“, სპეცტექნიკის საბაზრო ფასის დასადგენად, ბაზრის კვლევა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით ჩაატარა. შედეგად, არსებობს პროცესის იმგვარად წარმართვის რისკი, რომ ხელშეკრულება გაფორმდებოდა წინასწარ შერჩეულ კომპანიასთან.

„გარდა ამისა, ქუთაისის მუნიციპალიტეტმა 128 800 ლარის საქონელი შეისყიდა მიმწოდებლისგან, რომელიც მერის მოადგილესთან დაკავშირებული საწარმოა. იმავდროულად, მოადგილე სატენდერო კომისიის თავმჯდომარეც იყო. არსებობს რისკი, რომ ინტერესთა კონფლიქტმა გავლენა იქონია შესყიდვის შედეგებზე. ამასთან, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სამორიგეო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა 125 ერთეულით აღემატებოდა რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. ამასთან, მუნიციპალიტეტს სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული საწვავის მიზნობრივ გამოყენებაზე“.

რეკომენდაციები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის – ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, წყალტუბოს მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები უნდა გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად.

„მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთან, მერიამ უნდა შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა“.

ხელშეკრულების პირობები უნდა განსაზღვროს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მისი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის, ინტერესი. მათ შორის, დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, გამოიყენოს საჯარიმო სანქციები. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აამოქმედოს მის ხელთ არსებული ყველა მექანიზმი.

ქუთაისის მუნიციპალიტეტისთვის – მუნიციპალიტეტმა არ უნდა დაუშვას დასაქმებულების დამატებითი ანაზღაურება ან ფინანსური წახალისება სხვადასხვა სოციალური საჭიროების მოტივით. ამასთან, უნდა შექმნას დამატებითი კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური დახმარებების მიმღებ პირთა საჭიროებების შესწავლასა და დახმარების გაცემას შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების საფუძველზე. ეს ხელს შეუწყობს მოქალაქეების თანაბარ პირობებში ჩაყენებას, ასევე, ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ფინანსური რესურსების მართვის გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, ქონების გაყიდვამდე, ქუთაისის მუნიციპალიტეტმა საწყისი საპრივატიზებო ღირებულება უნდა განსაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის შეფასების საფუძველზე. აუქციონის პირობები უნდა დააწესოს მხოლოდ მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნებისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. ეს გააუმჯობესებს კონკურენტულ გარემოს და გაზრდის ქონების რეალიზებით მიღებულ სარგებელს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა უნდა გააანალიზოს ქონების გასხვისების პროცესში დაშვებული დარღვევები და გაატაროს ღონისძიებები შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ.

სახელმწიფო აუდიტორების რეკომენდაციით, ქუთაისის მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს წესი, რომლითაც დარეგულირდება სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა და განისაზღვრება საწვავისა და მოვლა–შენახვის ხარჯვის კონტროლის მექანიზმები. საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია, ქუთაისის მერიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები და შეიმუშაოს სათანადო პროცედურები. მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად, შესაძლოა, განხილულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას, უფლებამოსილი პირების მიერ დამონტაჟებული საწვავის „ჩიპების“ მთლიანობის შემოწმება; სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე, შესაძლოა, განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა.

სამართალი

№21 1 ივნისი 2022 წ

რუსეთში ქართველ „კანონიერ ქურდებზე“ ნადირობის ახალი სეზონი გაიხსნა

ბათო ჯაფარიძე

რატომ დაუმატეს სასჯელი „თენგო ფოთინსკის“ და რა ელის „სვანს“

როგორც მოგეხსენებათ, პირველი ქვეყანა, რომელმაც ე.წ. კანონიერი ქურდის სტატუსი დასჯადი გახადა, საქართველო იყო. საქართველოს შემდეგ, იგივე კანონი შემოიღეს რუსეთსა და უკრაინაში, მაგრამ ისე ჩანს, რუსეთის ფედერაციაში, გისოსებს მიღმა მყოფი „კანონიერი ქურდების“ თავისუფლებაზე გაშვებას არ აპირებენ, რისი ნათელი მაგალითიც თენგიზ გიგიბერიას საქმეა.

ე.წ. კანონიერი ქურდი „თენგო ფოთინსკი“ სასჯელს უკვე 19 წელია იხდის. ორი წელი მან წინასწარი დაკავების იზოლატორებში გაატარა (?!), ხოლო დანარჩენი 17 – სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. რაც მთავარია, 2011 წლიდან, ის სამართოო საკანში ზის და ზის სწორედ იმიტომ, რომ ციხის ადმინისტრაციამ ჩათვალა, „თენგო ფოთინსკი“ საერთო საკანში გადაყვანის შემდეგ, მთელ ციხეზე კონტროლს დაამყარებდა. ჰოდა, ახლა, როცა მას სასჯელის ვადა გაუვიდა და ყველა ვარიანტში, უნდა გათავისუფლებულიყო, ახალი ბრალი – „კანონიერი ქურდობა“ წაუყენეს.

როგორც რუსული მედია წერს, გიგიბერიამ სასამართლო პროცესზე არ უარყო, რომ სტატუსს ფლობს, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ამ სტატუსის გამოყენების შესაძლებლობა, უბრალოდ, არ ჰქონია, რადგან სამართოო საკანში იჯდა, ვერ და არ აძლევდა ვინმეს მითითებას, არ ჰქონდა „ობშჩიაკი“ და ვერ ერეოდა ციხის ცხოვრებაში.

სასამართლომ მისი სიტყვები გაითვალისწინა და გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა „კანონიერი ქურდი“ გაამართლეს კანონის მიღების შემდეგ, თუმცა პროკურატურამ განაჩენი გაასაჩივრა და სხდომები ზემდგომ ინსტანციაში გაგრძელდა. შედეგად, მომდევნო სასამართლო პროცესზე, პროკურატურამ წარადგინა მტკიცებულება, რომ გიგიბერია ციხეს ადვოკატის მეშვეობით აკონტროლებდა და ამის დასტურად, მისი ერთ-ერთი ადვოკატის მიერ ციხეში განხორციელებული ვიზიტების ოდენობა დაასახელა – წლის განმავლობაში, 114 ვიზიტი და რაც მთავარია, გიგიბერიას ნახვის შემდეგ, ადვოკატი იმავე დაწესებულებაში, სხვა პატიმრებსაც ხვდებოდა და ის „სხვები“ ციხის „მაყურებლები“ იყვნენ.

პროკურატურა „კანონიერი ქურდისთვის“ დამატებით თერთმეტწლიან სასჯელს ითხოვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულის მისჯის შემდეგ, „თენგო ფოთინსკის“ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 30 წლის გატარება მოუწევდა. სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა, პრაქტიკულად, სრულად დააკმაყოფილა და გიგიბერიას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

„ეს უსამართლობაა, ასე არ შეიძლება, 19 წელია, კაცი ციხეშია და კიდევ 9 წელი დაუმატეს. ციხეში ყოფნის პერიოდში, მას შვილი გარდაეცვალა, ახლა კი თავისუფლებაზე, ორი შვილი და ავადმყოფი ცოლი ელოდება, თუმცა სასამართლომ ყველაფერი გააკეთა, რომ შვილებმა – მამა, მეუღლემ კი – ქმარი ვერ ნახოს. გადაწყვეტილება უსამართლოა“, – განაცხადა სასამართლოზე მყოფმა თენგიზ გიგიბერიას ძმამ.

სავარაუდოდ, გიგიბერიას ადვოკატები მეორე ინსტანციის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ, თუმცა ძალზედ საეჭვოა, ზემდგომმა ინსტანციამ მსჯავრდებულისთვის პოზიტიური გადაწყვეტილება მიიღოს.

გიგიბერია ერთადერთი ქართველი არ არის, რომლის წინააღმდეგაც გასულ კვირას რუსეთის სასამართლომ იმსჯელა. უახლოეს მომავალში, კიდევ ერთი „კანონიერი ქურდის“, დავით გერლიანის პროცესი დაიწყება.

2021 წლის მარტში, რუსეთის ფედერაციამ „კანონიერი ქურდ“ დავით გერლიანზე (მეტსახელად, „სვანი“) საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. მას ბრალი გამოძალვასა და კრიმინალურ სამყაროში უმაღლესი იერარქიული საფეხურის დაკავებაში ედებოდა. მაშინ ითქვა, რომ გერლიანმა რუსეთიდან გასვლა მოახერხა და იმის მიუხედავად, რომ ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა საქმეში ინტერპოლი ჩართო, მაინც საეჭვო იყო, რომელიმე ქვეყანას თავი შეეწუხებინა და გერლიანი ჯერ დაეკავებინა, შემდეგ კი რუსეთისთვის გადაეცა. მით უმეტეს, რომ ის დღემდე, საქართველოს მოქალაქეა.

ამის მიუხედავად, „კანონიერი ქურდი“ ეგვიპტელმა სამართალდამცავებმა დააკავეს. ადვოკატების მცდელობის მიუხედავად, რუსულმა მხარემ მოახერხა და მისი ექსტრადაციის საკითხი შეათანხმა. შესაბამისად, გერლიანი რუსეთის ფედერაციაში გადააფრინეს, სადაც მას წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად ჰქონდა მისჯილი, სასამართლო განხილვა კი მალე დაიწყება.

როგორც იქაური ძალოვნები ამბობენ, საუკეთესო შემთხვევაში, გერლიანს ათწლიანი სასჯელი ელოდება.

ვერ გეტყვით, „კანონიერი ქურდების“ თემის გააქტიურება უკრაინა-რუსეთის ომის ბრალია, თუ სხვა რამის, მაგრამ ფაქტია, ბოლო პერიოდში, როგორც ჩვენთან, ისე რუსეთსა და ევროპაში, მათთან დაკავშირებული პრების დაკავებაც აქტიურად მიმდინარეობს და ზოგადად, „კანონიერ ქურდებსაც“ გვარიანად დევნიან. არაფერს ვამბოთ საქართველოზე, სადაც კრიმინალური სამყაროს წევრობისა, თუ გარჩევებში მონაწილეობისთვის, პრაქტიკულად, ყოველკვირა აკავებენ ათზე მეტ პირს, მაგრამ თითქმის იგივე ხდება ევროპის ქვეყნებში, თანაც ისე, რომ არც სპეცოპერაციები ტარდება და არც სხვა, ხმაურიანი ღონისძიებები.

თუ გახსოვთ, თავის დროზე, ესპანეთში, საფრანგეთსა თუ იტალიაში, წელიწადში ორ-სამჯერ ისეთი სპეცოპერაციები ტარდებოდა, მთელი ეროპა საუბრობდა და ეს „ღონისძიებები“, სწორედ ქართველი კრიმინალების წინააღმდეგ იყო მიმართული. ახლა კი, ლამის 4 წელი გავიდა, ასეთი რამ არ მომხდარა. ვიღაცამ შეიძლება იფიქროს, ევროპელებმა კრიმინალი დაამარცხესო, მაგრამ არა. მათ ბრძოლის ტაქტიკა შეცვალეს და ხმაურიანი სპეცოპერაციებისა და დიდი თანხების დახარჯვის ნაცვლად, ორ-სამ ადამიანს აკავებენ, ციხეში ისტუმრებენ და მერე იწყება ხანგრძლივი სასამართლო გარჩევა. გირაოთი გამოშვებულ პირებს მუდმივად აკონტროლებენ და მათაც ზუსტად იციან, რომ ერთი არასწორი ნაბიჯი და გირაო, შესაძლოა, ციხემ შეცვალოს. ამიტომ, დღეის მდგომარეობით, ევროპაში რამდენიმე ასეული პირია, რომლებსაც სასამართლო პროცესი ელოდებათ და თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ საბოლოო ჯამში, გაამართლებენ, მაგრამ...

„უბრალოდ, ეჭვი აქვთ, რომ რაღაცას ვაფუჭებთ, არ აქვთ მტკიცებულება, ამიტომ მარტივად წაგვიყენებენ ხოლმე ბრალს. შემდეგ იწყება პროცესი და ასე იწელება სამი-ოთხი წლის განმავლობაში. შედეგად, ეს სამი-ოთხი წელი უნდა იჯდე უქმად და ჩუმად, თორემ საუკეთესო შემთხვევაში, სამაჯურს გაგიკეთებენ, უარეს შემთხვევაში – დაგიჭერენ და სასამართლოს ციხეში დაელოდები“, – გვეუბნება ესპანეთში მცხოვრები ქართველი.

საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ ეჭვმიტანილი პირები იმ ხნის განმავლობაში, უბრალოდ, ვერაფერს აკეთებენ, მაგრამ აქვთ შანსი, მიმართონ სასამართლოს თხოვნით, შეწყდეს ძიება, ისინი ქვეყანას დატოვებენ და დაბრუნების შანსი სამი წლის განმავლობაში არ ექნებათ. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო თითქმის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს და ეჭვმიტანილ პირებს სამი წლით იშორებს, დაბრუნების შემთხვევაში კი, ყველაფერი ახლიდან იწყება. ამ პრაქტიკის გამოყენება დაიწყო ესპანეთმა, იტალიამ, საფრანგეთმა და დიდი შანსია, ევროპის ყველა ქვეყანამ მიბაძოს, რადგან პრაქტიკამ აჩვენა, რომ ასეთი მიდგომა ამართლებს, თანაც საჭირო აღარაა, ასობით სამართალდამცავის მოცდენა, ტელეფონების მოსმენა, დევნა, თვალთვალი, სპეცოპერაციის დაგეგმვა და ა.შ. გაჩნდა ეჭვი, წაუყენე ბრალი და დამთავრდა, სამი-ოთხი წლით პიროვნება განეიტრალებულია.

როგორც გვეუბნებიან, ყველაფერი ეს, ევროპის ქვეყნებში მყოფი საქართველოს პოლიციის ატაშეების აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს და ქართველი ძალოვნების მუშაობითა და მათთან თანამშრომლობით, ევროპელები ძალიან კმაყოფილები არიან.

საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში, კონკრეტული პირები უკვე ადგილობრივი პოლიციის ყურადღების ქვეშ ექცევიან და ისინი აქაც იძულებულნი ხდებიან, ან კანონმორჩილი მოქალაქეები იყვნენ, ან ჩაიდინონ დანაშაული და ასეთ შემთხვევაში, ციხე არ ასცდებათ.

სამწუხაროდ, გასულ კვირას, წინა პლანზე კვლავ წამოიწია არასრულწლოვნების მიერ ჩადენილმა დანაშაულებმა. 14 წელს მიუღწეველი პირები შედიან მაღაზიებში, იპარავენ ყველაფერს, რისი წაღებაც კი შეიძლება და რატომღაც გვგგონია, რომ ამ სქემის უკანაც გამოცდილი კრიმინალები დგანან. სხვაგვარად, წარმოუდგენელია, რამდენიმე ათეული არასრულწლოვანი წინასწარ ათვალიერებდეს მაღაზიას, გეგმავდეს მის გაქურდვას, იქცეოდეს ისე, რომ კვალს არ ტოვებდეს და შემდეგ ამ ნაქურდალს ისე მარტივად ასაღებდეს, სამართალდამცავებს სერიოზული ძალისხმევა დასჭირდეთ მათ გამოსავლენად.

თუ ძალოვნები მათ უკან მდგომ სრულწლოვან კრიმინალებს გამოავლენენ, კრიმინალური დაჯგუფების შექმნის მუხლით უნდა გაასამართლონ და სასჯელიც სოლიდური, ორნიშნა მისცენ, რადგან ერთია, როცა თავად იპარავ და მეორე, როცა ამისთვის არასრულწლოვნებს იყენებ.

ახალგაზრდა ქალი საკუთარ სახლში რამდენჯერმე გააუპატიურეს

რატომ იძია შური ქარხნის დირექტორმა ბუღალტერზე

ბათო ჯაფარიძე

არცთუ იშვიათად კრიმინალები ერთი დანაშაულის გადასაფარად მეორეს ჩადიან და ცდილობენ, მცირე სასჯელით უფრო დიდი აირიდონ. ეს პრაქტიკა განსაკუთრებით ადრე იყო მიღებული და კონკრეტული ადამიანები, ხშირად, ციხეში ხულიგნობის მუხლით მიდიოდნენ, ამ დროს კი, ზურგს უკან ძარცვა, მკვლელობა ან ყაჩაღობა ჰქონდათ. ასეთ დროს მათზე ეჭვი ნაკლებად მიჰქონდათ, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს – თუ გამოძიება მათზე გავიდოდა, ისინი ვერსად გაიქცეოდნენ, სასჯელს უკვე იხდიდნენ და ახალი „სროკი“ ემატებოდათ.

აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში, მცირე დასახლებაში, მეგობარმა ქალმა მეზობელთან შეირბინა, მარილი გამითავდა, მაღაზიამდე 500 მეტრია, შენს სახლამდე – 30-ო და თვალწინ საშინელი სურათი გადაეშალა: ახალგაზრდა ქალი, სასტიკად ნაცემი, შუა ოთახში შიშველი იჯდა და სადღაც სივრცეში, არეული თვალებით იყურებოდა. მეგობარმა მაშინვე სასწრაფოში დარეკა, შემდეგ – მილიციაში და ძალოვნებმა სასწრაფოს მისვლა 3 წუთით დაასწრეს, პირველი, რაც გააკეთეს, ლოგინს ზეწარი გადააძრეს და ქალს შემოახვიეს, შემდეგ კი ექიმებს გადააბარეს. კითხვის დასმას აზრი რომ არ ჰქონდა, თვალებზეც ეტყობოდა.

„ჩემი მეგობარი ნორმალურია, სრულიად ჯანმრთელი და ფსიქიკური პრობლემები არ აქვს. ის ბუღალტრად მუშაობს აქვე, ქარხანაში და როგორ გგონიათ, ქარხნის თანხებს ანდობდნენ, რამე პრობლემა რომ ჰქონდეს?!“ – შეიცხადა დაქალმა, როცა ჰკითხეს, ჰქონდა თუ არა მის მეგობარს ფსიქიკური პრობლემები.

დასახლება პატარა იყო და წესით, უცხო ადამიანი იქ ადვილად უნდა შეემჩნიათ, თუმცა პირველადმა დაკითხვამ ვერაფერი მოიტანა. მხოლოდ ერთმა თქვა, გუშინ, ღამით, გოგონა ახალგაზრდა, ცალხელა კაცმა მოაცილა სახლამდე, მაგრამ შიგნით არ შესულაო. ცალხელას ხსენებაზე დაქალმა მაშინვე დაიყვირა, ვიცი, ვინც არის, მაგრამ მეეჭვება, იმას ექნა, რადგან საქმროაო. ცალხელა საქმროს მოძებნა პრობლემა ნამდვილად არ იყო – იმავე ქარხანაში, საქმის მწარმოებლად მუშაობდა და როცა მომხდარის შესახებ უთხრეს, გაოცებისგან პირი დააღო, შემდეგ დაჯდა და ბოლო ხმაზე აქვითინდა. სანამ სამართალდამცავები იმას ცდილობდნენ, რომ საქმე ცხელ კვალზე გაეხსნათ, საავადმყოფოდან პირველადი დასკვნები წამოვიდა – ახალგაზრდა ქალი გაუპატიურებული იყო და თან არაერთხელ. რამდენმა კაცმა იძალადა მასზე, ექსპერტიზა მოგვიანებით იტყოდა. გაუპატიურების დროს, ქალს თან სასტიკად სცემდდნენ. გამომძიებლებმა ექიმებს ჰკითხეს, მოახერხებდა თუ არა ამას ცალხელა კაცი, რაზეც პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო – არა და ვერა! ასე გამოირიცხა საქმროს ვარიანტი, მაგრამ სამართალდამცავები მაინც დაინტერესდნენ, რა მოეწონა ანგელოზივით გოგოს ცალხელა კაცში.

მაშინ, კომუნისტების პერიოდში, ყველაფერს უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ, აქეთ ოჯახის წევრები, იქეთ – „ხალხი რას იტყვის“...

„წლებია, ერთმანეთს ვიცნობთ და ერთმანეთი გვიყვარს. ხელი ავარიის შედეგად დავკარგე, მაგრამ სიყვარული არ განელებულა. ახალი ბინის მიღებას ველოდით, პრაქტიკულად, ბარაკებში ვცხოვრობთ და შემდეგ უნდა გადავსულიყავით. მიახლოებითაც კი ვერ ვხვდები, ვის შეიძლება, ეს გაეკეთებინა. მტერი კი არა, უბრალოდ, მოშურნეც არ გვყავდა“, – თქვა მამაკაცმა.

სამაგიეროდ, დაზარალებულის დაქალმა თქვა, ჩვენი ქარხნის დირექტორის მძღოლს მოსწონდა, ცოლობაც კი სთხოვა, მაგრამ უარი მიიღოო. გადაამოწმეს მძღოლის ვინაობა და ის წარსულში... ძალადობისთვის ნასამართლევი აღმოჩნდა. მის დასაკავებლად ოპერატიული ჯგუფი გავიდა და... ვერსად იპოვა. მასთან ერთად, ქარხნის დირექტორიც არსად ჩანდა და რაც მთავარია, ადგილზე არ იყო მდივანიც, რომელსაც, წესით, დირექტორის განრიგი უნდა სცოდნოდა. სამივეზე ძებნა გამოცხადდა და მათთან ერთად ეძებდნენ სამსახურეობრივ „ვოლგას“, რომლითაც დირექტორი და მძღოლი უნდა ყოფილიყვნენ. მალე ერთ-ერთი სოფლის რწმუნებულმა თქვა, რომ „ვოლგაც“ და სამივე ძებნილიც, სწორედ მის სოფელში იმყოფებოდნენ. სამართალდამცავები ადგილზე მალე მივიდნენ და სამეული ცალ-ცალკე დაკითხეს. პრინციპში, დასაკითხ-გამოსაკითხი ბევრი არაფერი იყო, ყველაფერს დირექტორი მოჰყვა.

„ქვრივი ვარ და შესაბამისად, ქალის სითბო მაკლია. მდივანი ჩემი საყვარელი არ გეგონოთ, ცოლად მოყვანას ვაპირებ, მაგრამ ჯერ არ ვახმაურებთ. პერიოდულად კი, ჩემი გარდაცვლილი დის სახლში ვხვდებით ხოლმე. ჩემი დისშვილი მძღოლია, ამიტომ ვენდობი, ერთად მოვდივართ, ის პირველ სართულზე წვება, ჩვენ მეორეზე ვრჩებით. ამჯერად ასე არ იყო, წყალი ჩამოსულა სახურავიდან და ზედა ოთახები ლამის დატბორილი დაგვხვდა, ყველაფერი გადასაყრელია, ლოგინები, თეთრეული. ამიტომ, პირველ სართულზე დავწექით, მძღოლი კი მანქანაში დარჩა და იქ ეძინა“, -თქვა დირექტორმა და შესაძლებლობა იმისა, რომ დირექტორის დისშვილს მანქანა დაექოქა, 30 კილომეტრი გაევლო, ქალი მოეკლა, გაეუპატიურებინა და უკან დაბრუნებულიყო, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ბიჭმა თავი გაიგიჟა, რა გაუპატიურება, მანქანა ეზოდან არ გამიყვანია და ერთი ძალადობა რომ შემტენეთ, ის იკმარეთო.

სამართალდამცავებმა ძველი საქმეც გადაამოწმეს, იქ ყველაფერი რიგზე, მართლაც, არ იყო და რაც მთავარია, ჩვენება მისცა სოფლის რწმუნებულმაც, რომელმაც თქვა, როცა დირექტორი მოდიოდა, ვცდილობდი, ფხიზლად ვყოფილიყავი, რათა არავის შეეწუხებინა, ამიტომ მთელი ღამე, პრაქტიკულად, სახლის მიმდებარედ გავატარე და „ვოლგა“ ეზოდან არ გასულაო.

ერთადერთი, რამაც გამომძიებლები დააეჭვა, დირექტორის რეაქცია იყო მომხდარზე. მან თავიდან მხრები აიჩეჩა, რას არ გაიგებ კაციო და მერე ორჯერ იკითხა, ბუღალტერი თუ გადარჩებაო. სამართალდამცავებმა არ უპასუხეს, მაგრამ ექიმებისგან იცოდნენ, გოგონას შოკი ჰქონდა და ამ შოკიდან, შესაძლოა, ვერც გამოსულიყო.

გაჩნდა ეჭვი, რომ შესაძლებელი იყო, ქარხანაში არ გახლდათ ყველაფერი რიგზე და ბუღალტერმა რაღაც ან აურია, ან პირიქით – ვიღაცას არევა არ დაანება. საწარმოში მაშინვე შესაბამისი სამსახური შევიდა და ერთდღიანი მუშაობის შემდეგ, საიმედო ვერაფერი თქვა – თითქოს, ყველაფერი რიგზეა და ბუღლატერსაც სანიმუშოდ აქვს დოკუმენტაცია წესრიგში. ექიმებს კი იმედი მეორე დღეს უფრო გადაეწურათ, პაციენტმა უფრო აურია და შეეცადნენ, აზრზე საქმროს ნახვით მაინც მოეყვანათ, მაგრამ როცა საქმროს შეხედა, უაზრო სახით ისე გაიცინა, კაცი პალატიდან მაშინვე გაიყვანეს.

სამართალდამცავებმა კვლავ თანამშრომლების დაკითხვა გააგრძელეს, ვინმეს რამე უცნაური ხომ არ შეგიმჩნევიათო და ერთმა გაიხსენა, ორი კვირის წინ, ქარხანაში ერთი კაცი მოვიდა, დირექტორს შეხვდა, მთელი ქარხანა მასთან ერთად დაათვალიერა და მე კი გამიკვირდა, ამათ რა საერთო უნდა ჰქონდეთ, იმ მეორეს ვიცნობ, გამოცდილი კრიმინალიაო. მისი ვინაობის გარკვევის შემდეგ, ეჭვმიტანილის სახლთან მორიგეობა დააწესეს, თუმცა 2-3 დღე საინტერესო არაფერი მომხდარა. სამი თვის წინ, ციხიდან გათავისუფლებული კაცი ეზოდან თითქმის არ გამოდიოდა და თუ გამოდიოდა, ისიც იმიტომ, რომ მაღაზიაში საკვები და სიგარეტი ეყიდა.

საავადმყოფოდან დარეკეს, პაციენტის ჯანმრთელობით დირექტორი დაინტერესდა, ახალი ბუღალტერი მოვძებნო, თუ დაზარალებული გამოჯანმრთელდებაო?! ერთი შეხედვით, ამაში უცანური არაფერი იყო, მაგრამ გამომძიებლებს ეჭვები უფრო გაუძლიერდათ. ორიოდ დღეში კი, იმ ოპერმუშაკებმა, რომლებიც კრიმინალის სახლს უთვალთვალებდნენ, დაინახეს, როგორ შევიდა გვიან ღამით სახლის ეზოში ქარხნის დირექტორი და ჩუმად უკან მიჰყვნენ, ფანჯარასთან მივიდნენ, მაგრამ საუბარი ვერ გაიგონეს, ფანჯრები მყარად იყო დაკეტილი. სამაგიეროდ, დაინახეს, როგორ ამოიღო დირექტორმა ფულის შეკვრა და როგორ დადო მაგიდაზე. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ორივე ადგილზე დააკავეს.

„ეს კაცი ჩემი ძველი მეგობარია, ციხიდან ახალი გამოსულია და ვიფიქრე, სანამ სამსახურს იშოვის, ხელს გავუმართავ-მეთქი“, – განაცხადა დირექტორმა, როცა მაგიდაზე „ხელის გასამართად“ მიტანილი 3 ათასი მანეთი დაუდეს.

რაც შეეხება მეორე დაკავებულს, მას შესაბამისი ექსპერტიზა ჩაუტარეს და დასკვნაც უტყუარი იყო, გოგონა მან გააუპატიურა. უარის თქმას აზრი აღარ ჰქონდა და დაკავებულმა მოყოლა დაიწყო:

„არ ვიცი, დირექტორს რა უნდოდა, მაგრამ მითხრა, ეს ქალი უნდა მომაშოროო ანუ მოკვლა მიბრძანა, 5 ათას მანეთზე შევთანხმდით. ციხიდან ახალი გამოსული ვარ, რეციდივისტი მქვია და არავის ვჭირდები, თავი კი როგორმე უნდა ვირჩინო. ამიტომ დავთანხმდი, თუმცა როცა სახლში შევედი, ვიფიქრე, მაინც უნდა მოვკლა და ჯერ გავაუპატიურებ-მეთქი. საუკუნეა, ქალთან არ ვყოფილვარ, როცა რამდენჯერმე გავაუპატიურე, შევხედე და მივხვდი, რომ ამ ქვეყნის აღარ იყო და ჩემს ამოცნობას კი არა, აზრზე მოსვლას, ალბათ, თვეები ვერ შეძლებდა. ამიტომ, მოკვლა გადავიფიქრე, ფულს როგორც კი ავიღებდი, რუსეთში ვაპირებდი წასვლას. იმ უნამუსომ კი ხუთის ნაცვლად, 3 ათასი მომიტანა, აქაოდა, რომ არ მოკალი, მეტი არ გეკუთვნისო“...

როგორც შემდეგ გაირკვა, ახალგაზრდა ბუღალტერი დირექტორს არ ემორჩილებოდა, ფულის კეთებას არ ანებებდა და ვერც იშორებდა, გოგონა სამართალდამცავებთან წასვლით იმუქრებოდა. ჰოდა, მისი მოშორებაც ამიტომ გადაწყვიტა.

მოძალადე რეციდივისტს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, დირექტორი კი, როგორც შემკვეთი, 7 წელს დასჯერდა.

ბათო ჯაფარიძე

მეზობელმა მეზობელი 3 ათასის გამო მოკლა

„სამჯერ დავარტყი, გავთიშე, მერე აივანთან მივედი და გადავაგდე“ – მკვლელის აღიარება

„როცა ადამიანი მაღალი სიმაღლიდან ვარდება და ადგილზე კვდება, არ მოძრაობს ანუ როგორც დაეცემა, ისეთივე მდგომარეობაში რჩება. ამას კი კეფა აქვს ჩამსხვრეული ანუ ზურგით დაეცა, მაგრამ პარალელურად, სიკვდილამდე, სახის არეში ძლიერი დარტყმები აქვს მიყენებული, კბილებიც კი დამტვრეული აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერ სცემეს, მერე გადმოაგდეს და ზურგზე დაეცა. ვინ და რატომ სცემა, ჩემი გასარკვევი არ არის, ეგ თქვენი საქმეა“, – ჩაილაპარაკა ექსპერტმა და გვამთან ჩაიმუხლა.

სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს და მეზობლების გამოკითხვა დაიწყეს. მალევე გამოჩნდა ერთი, რომელმაც თქვა, რომ ტაიმებს შორის შესვენებაზე, როცა სიგარეტს ეწეოდა, დაინახა, როგორ ეწეოდა გარდაცვლილიც, თუმცა შემდეგ ისევ ფეხბურთს მიუბრუნდა. გარდაცვლილის ბინის კარი ღია იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მკვლელი შინ თავად შეუშვა. ოთახში თითქოს არეულობის კვალი არ ჩანდა, მაგრამ ფანჯრის რაფა იმდენად მაღალი იყო, ძალიან უნდა მოენდომებინა ვინმეს, რომ იქიდან გადმოვარდნილიყო. მაგიდაზე ღვინის ბოთლიც იდგა, რომელსაც 100-150 გრამი აკლდა ანუ წეით, გარდაცვლილი მთვრალი არ უნდა ყოფილიყო. რაც ყველაზე საინტერესოა, მეზობლებს არ დაუნახავთ უცხო ადამიანი და შესაძლოა, გაგიკვირდეთ, მაგრამ მაშინ კორპუსებში, ყველა ყველას იცნობდა და უცხოსაც ადვილად ამჩნევდნენ.

სანამ გარდაცვლილს მორგში გადაასვენებდნენ, ვიღაც ბიჭი მოვარდა და ჯერ ბოლო ხმაზე აყვირდა, შემდეგ სამართალდამცავები მოიკითხა და გვერდით გაიხმო.

„მე და გარდაცვლილი მეობრები ვართ, ფეხბურთს ერთად ვუყურებდით, პირველი ტაიმი სანამ დასრულდებოდა, მისმა ტელევიზორმა აურია. მაშინვე მეორე მეგობართან გავიქეცი, მან კი მშვიდად მითხრა, დაღლილი ვარ, ცოტა ღვინოს მოვწრუპავ და დავიძინებო. მეორე ტაიმის დაწყებიდან ათ წუთში დარეკა, ანგარიში იკითხა და მითხრა, ვიღაცას ველოდები და მერე დავწვებიო, თუმცა არ დაუკონკრეტებია ვის, არ იცნობო. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი სამეგობროდან არავის ელოდა, რადგან მე ყველას ვიცნობ“, – თქვა გარდაცვლილის მეგობარმა.

სამართალდამცავებს ყველაფერი ეს ძალიან გაუხარდათ და ჩათვალეს, რომ საქმე გაიხსნა, რადგან მარტივად გაარკვევდნენ, ვინ დარეკა სახლის ტელეფონზე (მაშინ მობილურები არ იყო) და იმის მიხედვით გაარკვევდნენ, ვინ იყო იდუმალი სტუმარი, თუმცა გამომძიებლებს გაწბილება ელოდათ – კავშირგაბმულობაში დაადასტურეს, რომ გარდაცვლილმა მეგობართან დარეკა, მაგრამ არც მანამდე და არც მას შემდეგ, მას არავისთან დაურეკავს და არც ზარი შესულა. რა გამოდიოდა? ვიღაცამ შემთხვევით გამოიარა? თუმცა, რა იცოდა გარდაცვლილმა, რომ ის ვიღაც მოვიდოდა?

სამეგობროს გარდა, პრაქტიკულად, ყველა მეზობელი გამოჰკითხეს, მოიკითხეს სამსახურშიც და მცირე მიზეზიც კი ვერ ნახეს, რომ შეიძლებოდა, ვინმეს ბიჭი მოეკლა. საცოლეც კი რაიონში ჰყავდა, გოგო, რომელიც ცოლად უნდა მოეყვანა და ამ საქმეში არც კონკურენტი ჰყავდა ანუ იმ გოგონას სხვა მსურველს რომ მოეშორებინა თავიდან, ესეც გამოირიცხა. შედეგი არც ბინის ჩხრეკამ გამოიღო, თუმცა ისევ მეგობარი გამოჩნდა და ძალოვნებს ზედმეტად საინტერესო კითხვა დაუსვა – „ბინაში ფული ნახეთ?“ გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს. სახლში ფული კი იყო, ასე, 200 მაანეთამდე, მაგრამ ეს არ იყო ის თანხა, რომლის გულისთვისაც ადამიანს მოკლავდნენ, თანაც ეს ფული წიგნში იდო, რომელიც მკვლელს არც კი დაუთვალიერებია. ეს იმას ნიშნავდა, რომ მკვლელი ძვირფასეულობისთვის ან გასაქურდად არ იყო შესული, მაგრამ...

„გარდაცვლილი მანქანის ყიდვას აპირებდა და მეგობრებისგან ისესხა. ოთხმა კაცმა 3 ათასი მანეთი შევუგროვეთ, დანარჩენი მშობლებს უნდა მიეცათ, მანქანაც შეგულებული ჰყავდა და მომავალი კვირის ბოლოს მიდიოდა საყიდლად“, – თქვა მეგობარმა. 3 ათასი მანეთი ბინაში არ იყო ანუ მკვლელმა ზუსტად იცოდა, რომ სახლში ფული ინახებოდა და კონკრეტულად ის თანხა წაიღო, რომელიც ეგულებოდა, დანარჩენი არც უძებნია. ძალოვნებმა ყველაფერს სხვა თვალით შეხედეს და

გასულ უქმეებზე ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაიმართა. „მადრიდის „რეალმა“ დაძაბულ ბრძოლაში „ლივერპულს“ სძლია და ისტორიაში მეთოთხმეტედ, ჩემპიონთა თასს დაეუფლა. შეხვედრას 82 ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო, რაც საკმაოდ სოლიდური ციფრია. საქართველოს პირველობაზე კი მაყურებლების სერიოზული პრობლემაა. სულ 2-3 ქალაქია, სადაც ადგილობრივი ფანობა არ იზარებს და სტადიონზე მიდის, დანარჩენ ქალაქებში კი ისე ხდება, ხანდახან მონდვრის მოთამაშეები და სათადარიგოთა სკამის ფეხბურთელები მაყურებელზე მეტია. არადა, იყო დრო, როცა სტადიონზე დასწრების მხრივ, თბილისის „დინამო“ ევროპაში პირველი იყო და ისეთ გრანდებს უსწრებდა, როგორებიც არიან, იგივე „რეალი“ და „ლივერპული“. ასე განსაჯეთ, „დინამოზე“ გულშემატკივრის რაოდენობა კონკურენციას იმ „ნაპოლის“ უწევდა, სადაც მაშინ ბურთს დიეგო მარადონა აგორებდა. გარდა რამდენიმე ათეული ათასი გულშემატკივრისა, ათი ამდენი ტელევიზორს იყო მიჯაჭვული და პირდაპირ რეპორტაჟს თვალს სწორედ ტელევიზორის საშუალებით ადევნებდა. მაშინ, როცა საქართველოს მთავარი კლუბი თამაშობდა, ქუჩები, პრაქტიკულად, ცარიელი იყო. ასე მოხდა 1984 წლის გაზაფხულის ერთ დღესაც, როცა ყველა „დინამო“-„ცსკა“-ს შეხვედრას ადევნებდა თვალს, ერთ-ერთი კორპუსის აივანზე გამოსულმა ადმიანებმა კი დაინახეს, რომ ეზოში მამაკაცის უსულო სხეული ეგდო. კაცი მაშინვე იცნეს, ის იმავე კორპუსში, ერთოთახიან ბინაში ქირით ცხოვრობდა. იმის მიუხედავად, რომ დიდად არავისთან ურთიერთობდა, ყველამ თქვა, რომ მშვიდი პიროვნება იყო და წარმოდგენაც არავის ჰქონდა, თავი რატომ უნდა მოეკლა. ჰო, მეზობლები სწორედ თვითმკვლელობის ვერსიას განიხილავდნენ, თუმცა როგორც კი ექსპერტი მოვიდა, მაშინვე თქვა, ეს კაცი არ გადმოვარდა, გადმოაგდესო. გამომძიებელმა მაშინვე უნდობლად გახედა, ერთი შეხედვით, თითქმის წარმოუდგენელი იყო ამის დადგენა, მაგრამ ექსპერტმა ყველაფერი მარტივად და რაც მთავარია, დამაჯერებლად ახსნა.

მთავარი ეჭვმიტანილების სიაში სწორედ ის მეგობრები მოექცნენ, რომლებმაც ფული შეაგროვეს, თანაც ოთხივე ამტკიცებდა, არავისთვის გვითქვამს, უბრალოდ, მივეცით და მორჩაო ანუ მხოლოდ ამ ოთხეულმა და გარდაცვლილმა იცოდა ფულის არსებობის შესახებ და რატომ იყო გამორიცხული, რომ რომელიმე მათგანს მოეკლა და თანხა დაესაკუთრებინა, მაგრამ როგორ? რატომ იცოდა გარდაცვლილმა, რომ მასთან ვიღაც უნდა მისულიყო და ეს მაშინ, როცა არავის დაურეკავს? გადაამოწმეს იმ მეგობრის ალიბი, რომელიც თითქოს ფეხბურთის საყურებლად სხვაგან წავიდა და გარდა იმისა, რომ იმ ოჯახის წევრებმა დაადასტურეს, სადაც მივიდა, კიბეზე მეზობელს შეხვდა, რომელიც ძაღლს ასეირნებდა, ძაღლმა უცხო კაცისკენ გაიწია და დაუყეფა ანუ მას მყარი ალიბი ჰქონდა, მაგრამ ვინ იყო მკვლელი? დანარჩენი მეგობრების ალიბის შემოწმების შემდეგ, სამართალდამცავებმა ხელები უმწეოდ ჩამოუშვეს – ყველას ალიბი ჰქონდა.

გამოძიება სხვა მიმართულებით წავიდა. იქნებ, მეგობრებმა კი არა, გარდაცვლილმა უთხრა ვინმეს ფულის შესახებ? ეჭვი მანქანის გამყიდველზეც მიიტანეს, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა არაფერი. გარდა იმისა, რომ მას ალიბი ჰქონდა, ფულიც საკმარისი გააჩნდა, რომ 3 ათასი მანეთის სანაცვლოდ, ვინმე არ მოეკლა.

პარალელურად, ექსპერტმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ სახის ძვლების ტრავმის გარდა, გარდაცვლილს სხეულზე ეტყობოდა ჩალურჯებები, რომელიც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მიაყენეს და რაც მთავარია, კბილის ნატეხი სასაში იყო გაჩხერლი, რაც ასევე, იმას მიანიშნებდა, რომ სიკვდილამდე გვარიანად სცემეს.

ოპერებმა მეზობლებში მოიკითხეს, ვის შეიძლებოდა ეცემა გარდაცვლილი და ყველამ ერთხმად თქვა, ასეთი უბანში მხოლოდ ერთი კაცია და ისიც იმ ბიჭის ზემოთ ცხოვრობსო. თითქოს ყველაფერი დალაგდა, მას შეეძლო, უბრალოდ, აივნიდან დაეძახა, საქმე მაქვს, ჩამოვალო და შემდეგ მოხდა ის, რაც მოხდა, მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა მეზობელს, რომ გარდაცვლილს შინ 3 ათასი მანეთი ჰქონდა?

მოიკითხეს მისი ვინაობა და ხელჩასაჭიდი ვერაფერი უპოვეს ანუ ის არც კრიმინალში ყოფილა შემჩნეული, არც ისეთი სამეგობრო წრე ჰყავდა, რომ კრიმინალთან ჰქონოდა კავშირი. ეჭვი იმანაც გააძლიერა, რომ მეზობელს ხელებზე დაზიანება ეტყობოდა, ესე იგი, გამოდიოდა, რომ სადღაც მუშტები იქნია და დიდი შანსი იყო, ეს „სადღაც“, სწორედ მის ქვემოთ მდებარე ბინა ყოფილიყო.

სხვათა შორის, ექსპერტის დასკვნაში ისიც ეწერა, რომ გარდაცვლილის ერთ-ერთი კბილიდან აღებული სისხლის ნიმუში მისას არ ემთხვეოდა ანუ ყველა ვარიანტში, მკვლელის უნდა ყოფილიყო. მეზობელი მარტივად, ხმაურის გარეშე დააკავეს და მას სახეზევე შეეტყო, რომ მომხდართან კავშირი ჰქონდა. სისხლის ჯგუფი მისას დაემთხვა და რამეს უარყოფას აზრიც აღარ ჰქონდა.

„აივანზე სიგარეტს ვეწეოდი, როცა ქვედა მეზობელი აივანზე გამოვიდა და ფულის დათვლა დაიწყო. მექანიკურად, მეც თვლა დავიწყე და როცა 3 ათასამდე ავიდა, გავოცდი. არ მეგონა, ამდენი ფული თუ ჰქონდა. არადა, მანქანის ყიდვა მინდოდა, მაგრამ ფულს ვერ ვაგროვებდი. მთელი დღე ვერ მოვისვენე, ღამით ფეხბურთს ვუყურე, ქვედა მეზობელს კარი ღია ჰქონდა და მესმოდა, მეგობართან ერთად რომ იყო. მერე ისიც გავიგე, მეგობარი რომ წავიდა და ახლაც არ ვიცი რატომ, ჩავთვალე, რომ ეს ჩემი შანსი იყო. მაინც ვყოყმანობდი, მაგრამ შემდეგ აივანზე გავედი და ჩავძახე, საქმე მაქვს, ჩამოვალ-მეთქი. ჩავედი, სამჯერ დავარტყი, გავთიშე და სანამ აზრზე მოვიდოდა, ფული დავძებნე, ადვილად ვიპოვე, მერე აივანთან მივედი და გადმოვაგდე, არავის არაფერი გაუგია, ფეხბურთის დამთავრებას 10 წუთი აკლდა“, -განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლომ მას განზრახ მკვლელობისთვის 14 წელი მიუსაჯა.

პოლიციამ გარდაბნის მუნიციპალიტეტში მომხდარ მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ი.კ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 26 მაისს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ბრალდებული ი.კ. და მისი თანასოფლელი, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი, 1992 წელს დაბადებული რ.მ. ერთმანეთს სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ, რა დროსაც რ.მ.-მ თანნაქონი დანით ი.კ.-ს სხეულზე ჭრილობა მიაყენა. ამის შემდგომ, ი.კ.-მ შურისძიების მოტივით, კუთვნილი ავტომანქანიდან დანა ამოიღო, რ.მ. მუცლის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი რ.მ. საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციამ ი.კ. მომხდარიდან მეორე დღეს დააკავა.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას მცხეთაში უმასპინძლა

შინაგან საქმეთა სამინისტრო, მცხეთის ცენტრალურ მოედანზე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომლის გზავნილი იყო – „ევროპისკენ“, მთელი დღის განმავლობაში მასპინძლობდა, როგორც მცხეთელებს, ასევე, ქალაქის სტუმრებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის მიერ, 26 მაისს წარმოდგენილ საინფორმაციო და საგამოფენო თემატურ სტენდებთან, ღონისძიების სტუმრები გაეცნენ უწყების მიერ ევროინტეგრაციის მიმართულებით, ევროპული სტანდარტების შესაბამისად გადადგმულ ნაბიჯებს და წარმატებულ რეფორმებს, ასევე, თვალი გადაავლეს ქართულ-ევროპული ურთიერთობებისა და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ამსახველ მასალებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებმა ბავშვებისთვის არაერთი თემატური საინფორმაციო-შემეცნებითი აქტივობა წარმოადგინეს, ასევე, მოწყობილი იყო სხვადასხვა სახის გასართობი სივრცეები.

17:10 საათზე, ზუსტად იმ დროს, როდესაც 1918 წელს, ნოე ჟორდანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მცხეთაში, როგორც მთელი საქართველოს მასშტაბით, ევროკავშირისა და საქართველოს ჰიმნები გაჟღერდა.

ღონისძიება მცხეთაში გალა-კონცერტით დასრულდა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები საქართველოს დამოუკიდებლობის დღის საზეიმო ღონისძიებას მცხეთაში დაესწრნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, მცხეთის ცენტრალურ მოედანზე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო ღონისძიებას დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე შალვა ბედოიძე, მინისტრის მოადგილეები – ალექსანდრე დარახველიძე, გიორგი ბუთხუზი და იოსებ ჭელიძე. მათ სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის მიერ მოწყობილი საგამოფენო და საინფორმაციო სტენდები, ასევე, სპეცტექნიკა და აღჭურვილობა დაათვალიერეს.

მცხეთის ცენტრალურ მოედანზე გამართული საზეიმო ღონისძიების საგამოფენო სივრცეებს დილიდან აქტიურად სტუმრობდნენ, როგორც მცხეთელები, ასევე, ქალაქის სტუმრები და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, შვილებთან ერთად. სტუმრებს სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელები პირადად მასპინძლობდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების თანამშრომლებმა, მოქალაქეებს საინფორმაციო და საგამოფენო თემატურ სტენდებთან გააცნეს უწყების მიერ, ევროინტეგრაციის მიმართულებით, ევროპული სტანდარტების შესაბამისად გადადგმულ ნაბიჯები და წარმატებული რეფორმები.

სტუმრები ათვალიერებდნენ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სასაზღვრო პოლიციისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სპეცტექნიკას, აღჭურვილობასა და სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენს.

საგამოფენო სივრცის მთავარ შესასვლელთან განთავსებულ საპატრულო პოლიციის სასაზღვრო-საიმიგრაციო კონტროლის იმიტირებულ პუნქტში, საპატრულო პოლიციის მესაზღვრე-კონტროლიორები ღონისძიების სტუმრებს საპასპორტო კონტროლის იმიტირებულ პროცედურას უტარებდნენ, რის შემდეგაც აძლევდნენ საინფორმაციო რუკას, რათა კონკრეტული ზონას სწვეოდნენ.

„სიცოცხლის ზარის“ სტენდთან, მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შესული რეალური ზარებისთვის მოესმინთ. ასევე, ისინი ინფორმაციას იღებდნენ „112“-ის თანამედროვე სტანდარტების სერვისების შესახებ, რომლებიც მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით სრულდება.

ცენტრალურ საგამოფენო სივრცეში განთავსებულ სტენდებზე, სტუმრები ეცნობოდნენ ქართულ-ევროპული ურთიერთობებისა და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ამსახველ მასალებს.

ბავშვებისთვის არაერთი თემატური საინფორმაციო-შემეცნებითი აქტივობა იყო დაგეგმილი, ასევე, მოწყობილი იყო გასართობი სივრცეები.

მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები პატარა დამთვალიერებლებს იმიტირებულ ქალაქში მასპინძლობდნენ და ველოსიპედის მართვის მოწმობის ასაღებად სახალისო გამოცდას აბარებინებდნენ, რის შემდეგაც იმიტირებულ, სამახსოვრო მართვის მოწმობას აძლევდნენ.

საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი ბავშვებს იმიტირებულ შემთხვევის ადგილზე მასპინძლობდნენ. პატარა „გამომძიებლები“ დეტალურად ეცნობოდნენ, თუ როგორ ხდება თითის ანაბეჭდების აღება; ასევე, მოზარდები სასაზღვრო პოლიციის მიერ წარდგენილ სანაპირო დაცვის მცურავ საშუალებას – გემის 2D მაკეტს ათვალიერებდნენ.

დაცვის პოლიციის თანამშრომლები პატარა სტუმრების იმიტირებულ დაცულ სახლში მასპინძლობდნენ და მათ სხვადასხვა სახალისო შემეცნებით აქტივობას სთავაზობდნენ.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ბავშვებისთვის, მეხანძრე-მაშველების მონაწილეობით, საინფორმაციო-შემეცნებითი შოუ გამართა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა – „112“, მოზარდებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სპეციალურად მათთვის შექმნილ კომპიუტერულ თამაშებში მონაწილეობა შესთავაზა, რის შედეგადაც გაიგეს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ გადაუდებელ შემთხვევებში. გამარჯვებული ბავშვები სპეციალური სამახსოვრო პრიზებით დაჯილდოვდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მცხეთაში, მთელი დღის განმავლობაში მასპინძლობდა სტუმრებს, საღამოს კი ღონისძიება კონცერტით დასრულდა.

მამარდაშვილზე „ნადირობის სეზონი“ გაიხსნა

ახლახან დასრულებული სეზონის სტარტზე ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სეზონის ბოლოს, მეკარეებს შორის მთავარი სამიზნე ტოპ-კლუბებისთვის გიორგი მამარდაშვილი იქნებოდა. „ვალენსიამ“ ქართველი კიპერი მეოთხე მეკარედ სულ რაღაც მილიონ ევროდ დაიმატა და ყოველი შემთხვევისთვის, კონტრაქტში გამოსასყიდ თანხად 20 მილიონი ევრო ჩაუწერა. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ უკვე სეზონის ბოლოს, ამ ციფრის გადაკეთება გახდებოდა საჭირო.

გარემოებათა გამო („ვალენსიას“ ძირითადი კიპერების ტრავმები და კორონავირუსი), კარში ჩადგომა სწორედ მამარდაშვილს მოუხდა და მანაც ბოძებული შანსი გამოიყენა. პრინციპში, ამას გამოყენებაც არ ჰქვია, გიორგიმ ძირითადი შემადგენლობიდან ჰოლანდიის ნაკრების კარის დარაჯი, იასპერ სილესენი ამოაგდო და გუნდის მთავარი ვარსკვლავიც გახდა. ჰოდა, სეზონის დასრულებისთანავე, „ვალენსიასთვის“ 20 მილიონის გადახდის მსურველი რამდენიმე კლუბი გამოჩნდა და მათ შორის გამორჩეული „მანჩესტერ იუნაიტედი“ და მიუნხენის „ბაიერნია“. ორივე გრანდი მზად არის, მამარდაშვილის სანაცვლოდ, 20 მილიონი გადაიხადოს. პერსპექტიული მეკარე ორივეს სურს, რადგან გერმანული კლუბის კარის დარაჯი, მანუელ ნოიერი 36 წლისაა, ხოლო „მანჩესტერის“ ესპანელი კიპერი, დევიდ დე ხეა – 32-ის, თუმცა ბოლო დროს დამაჯერებლად ვერ ასპარეზობს. რაღა თქმა უნდა, გიორგისთვის ორივე ძალიან კარი ვარიანტია, მაგრამ...

„ვალენსიამ“ ქართველ კიპერს ახალი კონტრაქტი შესთავაზა, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულებას 2027 წლამდე უხანგრძლივებს და პარალელურად, ხელფასსაც უზრდის, თუმცა მთავარი მაინც ის არის, რომ ახალ კონტრაქტში, გამოსასყიდ თანხად, 20 მილიონის ნაცვლად, 100 მილიონი ჩაიწერება. იმის მიუხედავად, რომ „მანჩესტერი“ და „ბაიერნი“ ძალიან მსუყედ და მაცდურად ჟღერს, სავარაუდოდ, უმჯობესი იქნება, თუ მამარდაშვილი სწორედ „ვალენსიაში“ დარჩება, რადგან გრანდებში ძირითადში მოხვედრის შესაძლებლობა თავიდან პრაქტიკულად არ მიეცემა, მერე კი... მერე არავინ იცის, რა იქნება, „ვალენსიაში“ კი, თავდაუზოგავი შრომით მოპოვებული ადგილის დაკარგვა, ალბათ, არამართებული იქნება.

„რეალმა“ ევროპას ისევ ზემოდან დახედა

მადრიდის „რეალმა“ ჩამპიონთა თასი მეთოთხმეტედ მოიგო. ეს კი ორჯერ მეტია, ვიდრე მისი უახლოესი მდევრის მიერ მოგებული ჯილდო. „რეალის“ შემდეგ, ყველაზე მეტჯერ ლიგა „მილანს“ აქვს მოგებული – იტალიურმა კლუბმა ეს თასი შვიდჯერ ასწია. არადა, წლევანდელ ტურნირში „სამეფო გუნდი“ ფავორიტად ნამდვილად არ ითვლებოდა, წესით, „პსჟ“-სთანაც უნდა დამარცხებულიყო, „ჩელსისთანაც“, ბოლოს, ნახევარფინალში კი „მანჩესტერ სიტისთან“ წაგებული თამაში მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე შემოაბრუნა. და ფინალი „ლივერპულთან“, გუნდთან, რომელიც საოცარ ფორმაშია და რომელსაც, წესით, უნდა მოეგო. ცხრაჯერ დაარტყეს ინგლისელებმა კარში, მაგრამ იმ დღეს მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მადრიდელთა კიპერი, ტიბო კურტუა დასახელდა... ერთადერთხელ დაარტყა რეალმა კარში და გაიტანა.

კარლო ანჩელოტი გახდა პირველი მწვრთნელი, რომელმაც ოთხჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ორჯერ – „მილანთან“ ერთად, ორჯერ – „რეალთან“. ამასთან, ანჩელოტი ერთადერთი სპეციალისტია, რომელსაც ევროპის ტოპ-5 ლიგის ჩემპიონატი აქვს მოგებული. მატჩის შემდეგ ბევრმა თქვა, რომ „ლივერპულს“ არ გაუმართლა, მაგრამ, როგორც წესი, ძლიერებს უმართლებთ. თანაც, „რეალს“ ჩემპიონთა ლიგა სისხლში აქვს და ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა აუტსაიდერად შერაცხული „სამეფო გუნდი“ ლიგას იგებს. ნამატჩევს ერთ-ერთმა ექსპერტმა ძალიან საინტერესო და უზუსტესი შეფასება გააკეთა – „იურგენ კლოპმა „ლივერპულს“ ათამაშა ის ფეხბურთი, რასაც ყოველთვის ათამაშებს და რაც ძალიან კარგად გამოსდის – შეტევა, კარში დარტყმები... კარლო ანჩელოტიმ კი „რეალს“ ათამაშა ის ფეხბურთი, რაც მოსაგებად სჭირდებოდა და მოიგო კიდეც“...

ვინც ფინალს უყურა, იცის, რომ შეხვედრა 36 წუთის დაგვიანებით დაიწყო. მიზეზად ბევრი რამ დასახელდა, თუმცა რეალობა ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. საფრანგეთში საყვარელი გუნდის საგულშემატკივროდ ჩასულ „ლივერპულის“ ფანებს რამდენიმე ათასი ყალბი ბილეთი მიჰყიდეს. შედეგად, როცა ისინი სტადიონზე შესვლას ცდილობდნენ, ტურნიკეტებმა არ გაატარეს – ისინი, უბრალოდ, დაიბლოკა. ამან ფანების გაღიზიანება გამოიწვია, ხოლო როცა გაიგეს, რომ ბილეთები ყალბი იყო, უფრო გაბრაზდნენ და სტადიონზე მოხვედრა ღობეზე გადაძრომით სცადეს, რასაც სამართალდამცავებთან შეტაკება მოჰყვა.

დასასრულს კი ისიც ვთქვათ, რომ მადრიდელთა შემტევმა როდრიგომ მატჩამდე თქვა, ოღნდ ეს ფინალი მოვიგოთ და მზად ვარ, ცოლიც კი დავთმოო. ფეხბურთელს მალევე უპასუხა მეუღლემ და აღნიშნა, რომ ოღნდ „რეალმა“ ფინალი მოიგოს და ისიც მზად არის, ქმარი დათმოს. „რეალმა“ ფინალი მოიგო...

ჩეხებმა უკრაინას მხარდაჭერა ორიგინალურად გამოუცხადეს

ფინეთში, ყინულის ჰოკეიში მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს, სადაც ჩეხეთის ნაკრებიც ასპარეზობს. ერთ-ერთი მატჩის დროს, ჩეხმა ფანებმა საკუთარი დროშის გვერდით, უკრაინის დროშაც გამოფინეს და მეგობარ ქვეყანას მხარდაჭერა გამოუცხადეს, თუმცა ტურნირის ორგანიზატორებმა დროშა მაშინვე ჩამოახსნევინეს, აქაოდა, მსოფლიოს ჩამპიონატზე მხოლოდ იმ ქვეყნის დროშის გამოფენაა დაშვებული, რომელიც მონაწილეობს და უკრაინა ტურნირზე არ არისო.

მეორე შეხვედრაზე, ჩეხებმა თეთრი ზეწარი გადმოფინეს, რომელსაც ზემოთ ეწერა „ლურჯი ფერი“, ქვემოთ კი – „ყვითელი ფერი“. ორგანიზატორებმა აღნიშნულ დროშას წუნი ვერ უპოვეს, ვერც ის დაამტკიცეს, რომ ეს რეალურად უკრაინის დროშა იყო და შედეგად, ლურჯ-ყვითელი წარწერა მთელი მატჩის განმავლობაში ამაყად ფრიალებდა.

მაფია უკვდავია – „მონცა“ სერია A-ში ითამაშებს

როცა იტალიური „მილანის“ პრეზიდენტი, სილვიო ბერლუსკონი გახლდათ, გენერალურ დირექტორად კი ადრიანო გალიანი მუშაობდა, ამბობდნენ, რომ დონ სილვიო ყველაფერ კანონიერსა და უკანონოს აკეთებდა იმისთვის, რათა მისი გუნდი გამორჩეული ყოფილიყო. უკანონობა იტალიის ყოფილ პრემიერს არ დაუმტკიცდა, ხოლო მისი პრეზიდენტობის დროს, „მილანს“ ნამდვილი ოქროს ხანა ედგა. საოცარი გუნდი, საოცარი ფეხბურთელები და საოცარი შედეგები. საამაყო ჩვენც გვაქვს, რადგან იმ გუნდის განუყოფელი ნაწილი და ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშე კახა კალაძე იყო.

მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა, ბერლუსკონი და გალიანი მილანიდან წავიდნენ და კლუბმაც 16-წლიანი პაუზის შემდეგ, ჩემპიონის ტიტული გასულ კვირას მოიპოვა. პარალელურად, გასულ კვირასვე გაირკვა იმ კლუბების ვინაობა, რომლებიც სერია B-დან სერია A-ში გადმობარგდნენ და მათ შორისაა მოკრძალებული „მონცა“, რომელსაც უძლიერესთა შორის არასოდეს უასპარეზია და ეს ამ კლუბისთვის სადებიუტო სეზონი იქნება. თუმცა, ეს იტალიაში არავის გაჰკვირვებია. რატომ? იმიტომ, რომ „მონცას“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი გახლავთ, გენერალური დირექტორი კი – ადრიანო გალიანი. „მაფია უკვდავია“, – ასე დაასათაურა არაერთმა გამოცემამ „მონცას“ აღზევება, თუმცა ეს ნახევრად ხუმრობით, რადგან მაფია არაფერ შუაშია და ამ ორმა კაცმა ფეხბურთი ძალიან, ძალიან კარგად იცის.

მშვიდობით! – მანე „ლივერპულს“ ტოვებს

მას შემდეგ, რაც „ლივერპულმა“ ვერც ინგლისის ჩემპიონატი მოიგო და ჩემპიონთა ლიგის ფინალიც დათმო, კლუბის სენეგალელმა ფორვარდმა, სადიო მანემ გუნდის დატოვება გადაწყვიტა. არადა, წლებია, მანე „მერსისაიდელთა“ მთავარი კაცია და გუნდის წარმატებებში მნიშვნელოვან როლსაც ასრულებდა. წელსაც, 30 წლის ფეხბურთელმა 23 გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ თანაგუნდელ მოჰამედ სალაჰს ჩამორჩა.

ძალიან დიდი ალბათობით, მანე კარიერას მიუნხენის „ბაიერნში“ გააგრძელებს, საიდანაც რობერტ ლევანდოვსკი წავიდა და გერმანელები ახლა მისი შემცვლელის ძიებაში არიან, თუმცა მანეს გადაბირება იოლი არ იქნება, მას „ლივერპულთან“ კონტრაქტი 2023 წელს ეწურება და ინგლისელები სენეგალელის სანაცვლოდ, 60 მილიონის მიღებას გეგმავენ.

რა ღირს კატის ფიზიკური შეურაცხყოფა

არცთუ დიდი ხნის წინ, სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, სადაც ჩანდა, როგორ გაუსწორდნენ ფიზიკურად ძაღლს ქართველი მოზარდები და ფეხის დარტყმის შემდეგ, როგორ ჩააგდეს წყალში. ისინი არავის დაუსჯია და ქართული სოც-ქსელი მხოლოდ კრიტიკა-გინებით შემოიფარგლა.

ასევე, არცთუ დიდი ხნის წინ, სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, სადაც „ვესტ ჰემის“ ფეხბურთელი, კურტ ზუმა კატას ფეხს ურტყამს, ამ ყველაფერს კი მისი ძმა იღებს. ჰოდა, ორივეს სასამართლო პროცესი მიმდინარეობს და გამორიცხული არ არის, ორივე ციხეში ჩასვან – ერთი, როგორც მოძალადე, ხოლო მეორე, როგორც ძალადობის ხელის შემწყობი. ზუმას აგრესიის გამო წუხილი გამთქვა „ვესტ ჰემის“ ხელმძღვანელობამ და ფეხბურთელი 250 ათასი ფუნტით დააჯარიმა .ეს თანხა სრულად გადაირიცხა კატების დაცვის ფონდში. ამას გარდა, ფეხბურთელთან პირადი კონტრაქტი გაწყვიტა „ადიდასმა“, ხოლო საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა ნაკრებში ზუმას გამოძახებაზე უარი განაცხადა.

„როცა ვხატავ, მზეს ვემსგავსები და მზესავით ვანათებ“

ია გრიგალაშვილი

როგორც ამბობენ, მხატვრები განსაკუთრებული ნიჭით არიან დაჯილდოებულნი. ამ კუთხით ისინი გამოირჩევიან, რომელთაც სპეციალური სამხატვრო განათლება არ მიუღიათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შედევრებს ქმნიან. „ვერსია“ გთავაზობთ ინტერვიუს თვითნასწავლ მხატვარ თათა ბოჭორიშვილთან, რომელიც წლებია, ტიხრულ მინანქარზე მუშაობს:

თათა ბოჭორიშვილის მომაჯადოებელი სამყარო

– 17 წელია, ტიხრულ მინანქარზე ვმუშაობ, პარალელურად, ვხატავ. თვითნასწავლი მხატვარი ვარ და ვფიქრობ, ესაა ჩემი მოწოდება – სიყვარულს გავცემ სამყაროში. სპეციალური განათლება არ მიმიღია, ყველაფერი შინაგანად მოდის, თავისთავად და ამისთვის სამყაროს მადლობელი ვარ. ისე, პროფესიით პედაგოგი ვარ, თუმცა მასწავლებლად არასოდეს მიმუშავია. ორი შვილი და სამი შვილიშვილი მყავს. პირადობის მოწმობის მიხედვით, ხათუნა მქვია, მაგრამ ბავშვობიდან თათას მეძახიან და ნახატებსაც ხელს ასე ვაწერ.

– როდის და როგორ აღმოაჩინეთ, რომ ხატვის ნიჭი გქონდათ?

– ბავშვობიდან ვხატავ. ძალიან მოუსვენარი ვიყავი და როგორმე რომ გავეჩერებინე, ერთხელ, მამამ პატარა ლარნაკი დამიდო. მახსოვს, ყავისფერი იყო, თეთრი ზოლებით, მამამ მითხრა, აბა თუ დახატავო. დავჯექი და დავხატე. მამამ რომ ნახა, იფიქრა, ლარნაკს ფურცელი დავადე და შემოვხაზე, მაგრამ მალევე დარწმუნდა, რომ ასე არ იყო და ძალიან გაუკვირდა, შემაქო. მას შემდეგ ხატვა ჩემთვის ბედნიერება, სიხარული, სიამოვნება და ბოლო წლებში, შემოსავლის წყაროცაა.

– ტიხრულ მინანქარზე მუშაობა როდის დაიწყეთ?

– 17 წლის წინ, სამსახურს ვეძებდი და წავაწყდი განცხადებას, სადაც ვინმე გიორგი შალიკაშვილი წერდა, ავიყვან მოსწვლეებს და შევასწავლი მინანქარსო. მის გვერდზე შევედი, მომეწონა ნამუშევრის ფოტო და შუაღამის 2 საათზე მივწერე, რომ სწავლა მინდოდა, თან გამახსენდა, მეგობარმა გოგომ მაჩვენა, ნახე, რა ლამაზი საყურე ვიყიდე, ასეთის გაკეთებას შენც შეძლებ და ეს ტექნოლოგია შეისწავლეო. მართლაც, გიორგიმ ამიყვანა მოსწავლედ და მალე ერთად დავიწყეთ მუშაობა. ერთ წელში, გიორგის მამა გარდაიცვალა და ველარ გავაგრძელეთ თანამშრომლობა. ასე დავიწყე მინანქარზე მუშაობა, მაძლევდნენ შეკვეთებს და ვამზადებდი. 17 წლის განმავლობაში, წარმოიდგინეთ, რამდენი ნამუშევარი შევქმენი. ასე რომ, ნებისმიერი შეკვეთის დამზადება შემიძლია. მინანქარზე შეკვეთები ბოლო ხანს შემცირდა, ალბათ, იმის გამო, რომ ბაზარი შეივსო. ჩემი საიტიც მაქვს, სადაც ნამუშევრები მიდევს... სხვათა შორის, ჩემი 4 ნახატი 2020 წლის ქართველი მხატვრების კატალოგშია შეტანილი.

– ნახატზე ხელოვანის განწყობა აისახება?

– ნახატებში ადამინის სული ჩანს. ნახატზე ის მუსიკაც კი მოქმედებს, რასაც ხატვის დროს უსმენ. საერთოდ, არასოდეს ვგეგმავ, ესა და ეს უნდა გადმოვცე-თქო, განწყობა ყოველთვის თავისით გადმოიცემა. ნახატი უკვდავია და მინდა, რაც შეიძლება, მეტი სიყვარული, სითბო და სიკეთე დავატიო.

– რა არის თქვენთვის ხელოვნება?

– ხელოვნება ჩემი სამყაროა – იქ თავისუფალი, ბედნიერი ვარ, მზეს ვემსგავსები და მზესავით ვანათებ. ხელოვნებაში თავისუფლებაა, უამრავი ფერია, თითო ფერს თავისი ხასიათი აქვს, ცოცხლდება შინაგანი სამყარო, თან სხვა ადამიანებსაც ანიჭებ სიხარულს.

– ხელოვნებაში მუდმივი სწრაფვა სიახლეებისკენ მნიშვნელოვანია?

– განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, არასდროს უნდა გაჩერდეს ხელოვანი და მუდამ სიახლე ეძიოს. რაც მეტს ხატავ, უფრო თავისუფალი ხდები, აღარ გეშინია ფუნჯის ხელში დაჭერის, შეცდომების დანახვის და მისი გამოსწორების. მთავარია, შენი სული გადმოიტანო ტილოზე. იმედია, ოდესმე, ჩვენს ქვეყანაში სათანადოდ დაფასდება ხელოვნება.

სხვათა შორის, კარგად ვქსოვ, ვქარგავ, ვკერავ. სანამ მინაქარზე დავიწყებდი მუშაობას, დამიმზადებია თიხის სამკაულებიც. ხელოვნების თითქმის ყველა მიმართულება მოვსინჯე, მიკეთებია გობელებენიც, პატარა ხალიჩაც კი, ბუნებრივი მასალებისგან და კენჭებისგან.

ძალიან მიყვარს ცეკვა, აქაც ჩემს სამყაროში ვარ, 7 წელია, დავდივარ და ვერ ვცილდები „სალსა კალიენტეს“ – ლათინური სოციალური ცეკვების სტუდიას. იქაც განსაკუთრებული აურაა, რომელიც ჩემს გულსა და სულთან ახლოსაა. ცოტ-ცოტას ვუკრავ კიდეც გიტარასა და ფანდურზე. ესეც მეხმარება, დადებითი ემოციებით ვიყო სავსე. ხელოვნებით ვარსებობ და ვსუნთქავ.

– როგორც ვიცი, მოსწავლეებიც გყავდათ...

– დიახ, მყავდა. ერთხელ, ერთ-ერთ ტელევიზიის დილის გადაცემაში მიმიწვიეს და მაშინ მკითხეს, რა სურვილი გაქვსო. ჰოდა, ვუთხარი, მინდა, ვისაც არ აქვს ფინანსები, უფასოდ ვასწავლი მინანქარზე მუშაობა-მეთქი. მაშინ 120-მდე მოსწავლე მოვამზადე. სულ ჩემთან იყვნენ – აღარ უნდოდათ შინ წასვლა.

– თათა, საქართველოში ხელოვანის ცხოვრება რთულია, რა დაბრკოლებებს აწყდებით?

– სამყაროს ყველა ადამინი თავისებურად ხედავს, სულ ერთია, არის თუ არა ხელოვანი. ერთი ფოტო გამახსენდა: ორი გოგონა დგას წვიმაში, ერთი ბედნიერია უხარია, რომ წვიმს და ხელს უშვერს წვიმის წვეთებს, მეორე კი მოღუშულია, გაბრაზებული. ესაა სამყაროს ორი ხედვა, მთავარია, ჩვენ რა განწყობით ვუყურებთ მოვლენებს. ახლა, უმეტესობა იტყოდა, ფულს ვერ შოულობენ ხელოვანებიო, მაგრამ ასეა უმეტესი ადამინი დღეს საქართველოში. ვფიქრობ, მადლობა უნდა გადავუხადო ღმერთს და სამყაროს, რასაც მაძლევს და რაც მოუცია. ვხედავ, მესმის და ვგრძნობ, ეს ცოტა არაა, ბევრს ესეც არა აქვს. მთავარი ადამინებს შორის ურთიერთობაა, სიყვარულია მთავარი, უნდა ვუფრთხილდებოდეთ ყველაზე მეტად ახლობელ ადამინებს, საკუთარ თავს და მერე უცხოებს. ბოროტება სულ იყო და იქნება, რადგან სამყაროს ბალანსი სჭირდება. რომ არ იყოს ბოროტება, არ გვეცოდინებოდა, რა არის სიკეთე, მთავარია, არ აჯობოს ბოროტებამ. დაე, იყოს ამ ქვეყანაზე მშვიდობა და სიყვარული.

რაც შეეხება დაბრკოლებებს, ალბათ, კარგი იქნებოდა, რომ რაღაც სისტემა არსებობდეს, რომლის საშუალებითაც მხატვრები თავიანთი ნამუშევრების უცხოურ ბაზარზე გაგზავნა-გაყიდვას შეძლებდნენ.

– რა გეგმები გაქვთ?

– მინდა, დიდი, ნათელი სახელოსნო მქონდეს, ბევრი ტილოებითა და საღებავებით.

სხვათა შორის, ინტერნეტ მაღაზია – ETSY.COM-ზე მაქვს, ეს ხელნაკეთი ნივთების საერთაშორისო პლატფორმაა. იქნებ, შევძლო და ავამუშავო.

– თათა, დამწყებ ხელოვანებს რას ურჩევდით?

– თუ უყვართ ხატვა, არ გაჩერდნენ, არ დანებდნენ, ისწავლონ და დრო გამოიყენონ. ის, რაც ბედნიერებას განიჭებს, უნდა აკეთო, არ დაკარგო ერთი წუთიც კი და მაშინ იტყვი, ცხოვრება მშვენიერიაო.

ყველაზე მავნე ფეხსაცმელი გამოავლინეს

ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც სხვადახვა სახის ფეხსაცმლის გავლენას იკვლევდა ადამიანის ჯანმრთელობაზე, აცხადებს, რომ ზოგიერთმა მათგანმა, შესაძლოა, ტერფის დეფორმაცია, ასევე, ფეხებისა და ზურგის პრობლემები გამოიწვიოს. მკვლევარები კატეგორიულად არ გვირჩევენ, ეგრეთ წოდებული, კედების, ბალეტკებისა და მოკასინების მუდმივად ტარებას. უამრავი ადამიანი ატარებს ყოველდღიურად კედებს, რადგან ფიქრობენ, რომ ეს ძალიან მოხერხებული ფეხსაცმელია. არადა, კედებში ტერფი არასწორად დგას, რაც მისი ფუნქციის დარღვევას იწვევს, - აცხადებენ სპეციალისტები, - სჯობს, დროდადრო, სხვა სახის ფეხსაცმლით ჩავანაცვლოთ.

„მაიმუნის ყვავილის“ წამალს მიაგნეს

ბრიტანელმა მედიკოსებმა წარმატებით დაამარცხეს „მაიმუნის ყვავილის“ შემთხვევა ტეკომვირიმატის - ადამიანის ყვავილის საწინააღმდეგო პრეპარატით, - წერს ჟურნალი „ლანცეტი“. სწავლულებმა, ლივერპულის უნივერსიტეტიდან, გააანალიზეს, რა ანტივირუსული პრეპარატები გამოიყენებოდა წარსულში ამ ვირუსის დროს. გამოიკვლიეს „მაიმუნის ყვავილის“ შვიდი შემთხვევა დიდ ბრიტანეთში, რომელიც 2018 და 2021 წლებში გამოვლინდა. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მაშინ დაავადების ჩახშობა სცადეს ორი პრეპარატის - ბრინციდოფოვირისა და ტეკომვირიმატის მეშვეობით. პირველს დიდი შედეგი არ მოჰყოლია, რაც შეეხება მეორეს, მართალია, გვერდითი მოვლენები გამოიწვია, მაგრამ პაციენტის მდგომარეობაც გააუმჯობესა და გამოჯანმრთელების პროცესიც დააჩქარა. სპეციალისტების თქმით, ეს ანტივირუსული პრეპარატი, შესაძლოა, ამჯერადაც გამოიყენონ „მაიმუნის ვირუსის დასაძლევად“. ამ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, სწავლულები კვლევებს აგრძელებენ.

კომპენსაცია - წვეულებაზე დაუპატიჟებლობის გამო

ნისლიან ალბიონზე, ქალმა საკუთარ კოლეგებს იმის გამო უჩივლა, რომ ის წვეულებაზე არ დაპატიჟეს. Daily Mail-ის ინფორმაციით, 51 წლის რიტა ლეერი კაზინოში მოლარედ მუშაობდა. ქალის თქმით, მას თანამშრომლები ყოველთვის თავს არიდებდნენ, როს გამოც, მუდმივად სტრესში იყო. სასამართლოზე რიტამ განაცხადა, რომ ცოტა ხნის წინ, სამსახურში წვეულება მოაწყვეს, რომელიც ოფიციალური ღონისძიება იყო, ის კი არ დაპატიჟეს. არადა, ღონისძიების დეტალებს მისი თანდასწრებით განიხილავდნენ. აღმოჩნდა, რომ ლეერი ერთადერთი თანამშრომელი იყო, ვინც არ დაპატიჟეს. განაწყენებულმა ქალმა სამსახურიდან წასვლაზე განცხადება დაწერა და კოლეგებს სასამართლოში უჩივლა - ასაკობრივ და რასობრივ დისკრიმინაციაში დასდო ბრალი. სასამართლომ რიტას მხარე დაიკავა და დაადგინა, რომ კომპენსაციის სახით, კოლეგებმა მას 74 114 გირვანქა სტერლინგი უნდა გადაუხადონ.

საკუთარი ნაგვით შეიმოსა

გარემოს დაბინძურების პრობლემაზე ყურადღების მიქცევის ორიგინალური მეთოდი მოიფიქრა ამერიკელმა რობ გრინფილდმა. მან გადაწყვიტა, ერთი თვის განმავლობაში, ის ნარჩენები ატაროს, რომელსაც თავად დააგროვებს. მთელი ნაგავი, მათ შორის, ბოთლები, ჭიქები, პაკეტები, რობმა გამჭვირვალე ცელოფნისგან შეკერილ კოსტიუმში მოათავსა და ასე ჩაიცვა. გრინფილდი იმედოვნებს, რომ როცა ადამიანები დაინახავენ, რამდენ ნარჩენს აგროვებენ, უფრო გონივრულად მოიხმარენ ყველაფერს. აღსანიშნავია, რომ ქუჩაში, „ნაგავში გამოწყობილი“ მამაკაცის დანახვისას, გამვლელები დადებით რეაქციას გამოხატავდენ.

სუნიანი ყველის გამო დააჯარიმეს

„მწვანე კონტინენტზე“, ყველის მწარმოებელი ამ პროდუქტის უსიამოვნო სუნის გამო დააჯარიმეს. სუნი მისი საწარმოდან მეზობლად მდებარე ვენახებზე ვრცელდებოდა. სახელმწიფო გარემოსდაცვამ ყველი Yarra Valley Dairy-ის მწარმოებელს მოსთხოვა, გამავალი წყლის გაწმენდის ხარისხი გაეუმჯობესებონა, რათა მის მეზობლად მდებარე ტერიტორიებზე მეტად უსიამოვნო სუნი არ გავრცელებულიყო. გარკვეული პერიოდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მათი მოთხოვნა საწარმომ არად ჩააგდო და გარშემო ყველას ისევ დისკომფორტს უქმნიდა. შედეგად, საწარმოს მფლობელს 9087 დოლარის ჯარიმის გადახდა დააკისრეს.

40 წელია, სტუდენტობას ცდილობს

ჩინეთში მცხოვრები, 55 წლის მამაკაცი, თითქმის 40 წელია, სიჩუანის უნივერსიტეტში მოხვედრას ცდილობს, რაც მისი ბავშვობის ოცნებაა. 26 მცდელობის მიუხედავად, მან ვერცერთხელ შეძლო გამსვლელი ქულების მოგროვება. უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა ლიან შიმ ჯერ კიდევ 1983 წელს სცადა. მას შემდეგ, ყოველ წელს აბარებდა გამოცდებს, ვიდრე ქვეყანაში ახალი კანონი არ ამოქმედდა, რომლის მიხედვითაც, უნივერსიტეტში ჩაბარება მხოლოდ 25 წლამდე ასაკის პირებს შეეძლოთ. 2001 წელს, ეს კანონი გაუქმდა და მამაკაცმა კვლავ გააგრძელა სტუდენტად გახდომის მცდელობები. მას თავიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლა სურდა, თუმცა მერე მიხვდა, რომ ჰუმანიტარულზე ჩაბარება უფრო გაუადვილდებოდა. შარშანაც, ლიან შიმ 750-დან 403 ქულა მოაგროვა, გამსვლელი კი 521 ქულა. აღსანიშნავია, რომ გამოცდების ჩაბარებისგან თავისუფალ დროს, მამაკაცი ქალაქ ჩენდუში, სამშენებლო მასალების მწარმოებელ კომპანიას ხელმძღვანელობს.

ბერლუსკონის ექვსწლიანი პატიმრობა ემუქრება

მილანის პროკურატურა, მოწმეთა მოსყიდვის საქმეზე, იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრისთვის ექვსწლიან პატიმრობას ითხოვს. Reuters-ის ცნობით, სილვიო ბერლუსკონის ბრალად ედება 24 მოწმის მოსყიდვა წინა სასამართლო პროცესზე. ექს-პრემიერს ბრალი დასდეს 17 წლის მაროკოელი გოგონასთვის სექსუალური მომსახურების სანაცვლოდ ფულის გადახდასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში. როგორც ბერლუსკონის ადვოკატი აცხადებს, მისთვის პროკურატურის მოთხოვნა მოულოდნელი არ არის, თუმცა დარწმუნებულია, რომ მის კლიენტს გაამართლებენ. სასამართლო პროცესი, რომელიც 2017 წელს დაიწყო, ივნისში უნდა განახლდეს, განაჩენი კი სექტემბერშია მოსალოდნელი.

წყალზე ალერგია აქვს

ამერიკელ მოზარდს, ებიგეილ ბეკს აქვაგენური ალერგია აქვს, რის გამოც მისი სხეული განსაკუთრებით მგრძნობიარეა წყლის მიმართ. კოლეჯის 15 წლის სტუდენტი აცხადებს, რომ წყალთან კონტაქტისას, მას ცრემლები მოსდის. ტირილს ვიწყებ, სახე მიწითლდება და მიხურს, - აცხადებს გოგონა. ამ სასიცოცხლო სითხის მიღებისას, მას ღებინება და მკერდის არეში ტკივილი ეწყება. უკვე ერთ წელზე მეტია, ებიგეილი წყურვილს კომპოტებითა და ენერგეტიკული სასმელებით იკლავს. ორგანიზმის ამ თავისებურების გამო, მოზარდი რეჰიდრატაციისთვის აბებს სვამს, იღებს ანტიჰისტამინურ პრეპარატებსა და სტეროიდებს. ებიგეილი ექიმების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაა. გოგონა აცხადებს, რომ სურს, მეტი ისაუბროს თავისი მდგომარეობის შესახებ, რათა მოსახლეობაში გაიზარდოს ცნობდობა ამ დაავადების მიმართ.

ლატარეაში რეკორდული თანხა მოიგეს

უდიდესი ევროპული ლატარეა EuroMillions-ის გამარჯვებული ბრიტანელი წყვილი გახდა. ამ ტრანსნაციონალურ გათამაშებაში, რომელშიც მონაწილეობა ევროპის 12 ქვეყნის წარმომადგენლებს შეუძლიათ, გლოსტერშირელი ცოლ-ქმარი - ჯო და ჯეის ტვეიტები ჯეკპოტის მფლობელები გახდნენ - მათ 184 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი (184 262 899) მოიგეს, რაც დაახლოებით, 228 მილიონი დოლარია. 49 წლის ჯო და 44-ის ჯესი, რომელთაც ორი საერთო შვილი ჰყავთ, მოგებული თანხით ოცნებების ასრულებას გეგმავენ - შვილების მომავლის უზრუნველყოფას, სახლის აშენებას და სამოგზაუროდ წასვლას.

დედოფლის თოჯინები 3 წამში გაიყიდა

„ბარბის“ თოჯინების მწარმოებელი კომპანიის Mattel-ის მიერ ლიმიტირებული რაოდენობით გამოშვებული კოლექცია, რომელიც სპეციალურად, დიდი ბრიტანეთის დედოფლის, ელისაბედ მეორის მონარქობის 70 წლის იუბილეს მიეძღვნა, უკვე სრულად გაყიდულია. როგორც „გარდიანი“ წერს, „ბარბის“ ეს სერია მთლიანად, 3 წამში გაიყიდა. თითო თოჯინის ღირებულება 95 გირვანქა სტერლინგი იყო. ასეთი „დედოფლის“ მფლობელები ახლა აპირებენ, თოჯინები eBay-ზე, სულ მცირე, ორმაგ ფასად გაყიდონ, - წერს ბრიტანული გამოცემა.

გამოცდაზე ძროხების ცოდნას შეამოწმებენ

ინდოეთის ხელისუფლებამ ყოველწლიური ფაკულტატიური გამოცდა შემოიღო დისციპლინაში „მეცნიერება ძროხების შესახებ“. გამოცდის ჩაბარება მოუწევს ყველა მოსწავლეს და სტუდენტს, ასევე შეუძლია ნებისმიერ მსურველსაც, ვისაც საკუთარი ცოდნის შემოწმება სურს მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე. საგამოცდო ტესტი 100 კითხვისგან შედგება. ის ხელმისაწვდომია 12 რეგიონულ ენაზე. გამოქვეყნდა ასევე 54-გვერდიანი მეთოდიკა ტესტის ჩასაბარებლად. თუმცა, მასში ისეთი მტკიცებულებებიც აღმოაჩინეს, რასაც მეცნიერული ახსნა არ მოეძებნება. მაგალითად, ასეთი ცნობებიც არის: „ინდური ჯიშის ძროხების რძე ოქროს ნაწილაკებს შეიცავს“ ან „მიწისძვრები ძროხების დაკვლის გამო ხდება“.

სოფლის ხმაური და სუნი კანონიერად აღიარეს

საფრანგეთის პარლამენტმა მოიწონა კანონი სოფლების „სენსორული მემკვიდრეობის“ დაცვის თაობაზე. ეს ნიშნავს, რომ სიწყნარისა და სიმშვიდის მაძიებელი ადამიანები ველარ გააპროტესტებენ მამლის ხმამაღლა ყივილს თუ ბაყაყების ყიყინს. გარდა ამისა, კანონი მემკვიდრეობად აღიარებს ძროხების ეჟვნების ხმას, ნაკელის სუნს, ჭრიჭინების ჭრიჭინს, ტრაქტორების ხმას და სხვა, სოფლისთვის დამახასიათებელ ხმაურსა თუ სუნს. კანონი მას შემდეგ მიიღეს, რაც რამდენიმე სასამართლო შედგა მეზობლებს შორის. ყველაზე გახმაურებული კი მამალი მორისის საქმე იყო. მეზობლები მამლის „ძალიან ხმამაღლა ყივილზე“ ჩიოდნენ, რის გამოც ადრე ადგომა უწევდათ. სასამართლომ საქმე მამლის პატრონის სასარგებლოდ გადაწყვიტა და მეზობლებს, მისთვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

საფენები სწრაფი ანალიზისთვის

ჩინელმა სწავლულებმა სპეციალური დრეკადი გადამცემები შექმნეს შარდის ანალიზისთვის და ისინი საფენებში მოათავსეს. მოწყობილობას მონაცემების გადაცემა დისტანციურად შეუძლია. როგორც სიახლის ავტორები აცხადებენ, ექიმებს აქამდე არ ჰქონდათ პაციენტის შარდში მნიშვნელოვანი ნივთიერებების კონცენტრაციაზე დაკვირვების მოსახერხებელი და სწრაფი საშუალება. ახლა კი მათ შეუძლიათ სწრაფად შეაფასონ ანალიზები ხანდაზმულებსა და ჩვილებში. „ჭკვიანი საფენები“ თირკმელებისა და შარდის ბუშტის ინფექციის, დიაბეტის დროს დარღვევების, ელექტროლიტების უკმარისობისა და სხვა საშიში მდგომარეობის დროულად გამოვლენის საშუალებას იძლევა. ექსპერიმენტებით გაირკვა, რომ საფენში არსებული მცირე ზომის გადამცემი ისეთივე ზუსტ შედეგებს იძლევა, როგორც ლაბორატორიული კვლევა.

ყურიდან ტარაკანა ამოუღეს

ამერიკელმა მედიკოსებმა პაციენტი ქალბატონის ყურიდან ტარაკანა ამოიღეს, რომელიც მას ძილის დროს შეუძვრა. როგორც კინანა არტელი აცხადებს, ის ყურში ძლიერმა ტკივილმა და ღებინების შეტევამ გამოაღვიძა. ქალი მაშინვე გაემგზავრა კლინიკაში და ექიმებს სიმპტომებების შესახებ შეატყობინა. პაციენტის გასინჯვისას, მედიკოსები მალევე მიხვდნენ ქალის ჩივილების მიზეზს. მათ შეძლეს, არტელის ყურიდან მწერის სწრაფად და უსაფრთხოდ ამოღება. პაციენტი ბედნიერია, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. როგორც აღმოჩნდა, ტარაკანას, თურმე, უკუსვლით მოძრაობა არ შეუძლია და ყურში მოხვედრის შემდეგ, ის სულ წინ მიიწევდა.

ყავის ფასის გამო პოლიცია გამოიძახა

იტალიაში, ქალაქ ფლორენციაში, ყავის ფასით უკმაყოფილო კლიენტმა პოლიცია გამოიძახა. ყავის ბარი Ditta Artigianale 1000 ევროთი დაჯარიმდა მას შემდეგ, რაც ჭიქა ესპრესოს ფასის გამო გაბრაზებულმა მომხმარებელმა სამართალდამცავებთან იჩივლა. უკოფეინო ყავაში, რომელიც მან მიირთვა, 2 ევრო გადაახდევინეს, რაც მისთვის მოულოდნელობა აღმოჩნდა. კლიენტის თქმით, ყავის ფასი დახლის უკან დაწერილ მენიუში მითითებული არ იყო და ჯარიმაც სწორედ ამის გამო დაეკისრა გემრიელი ყავით განთქმულ ბარს. ბარის მფლობელის თქმით, ყავა მათ მექსიკიდან ჩამოაქვთ და თანამშრომლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ მის მომზადებას. ფასიც მითითებული იყო ციფრულ მენიუში.

„მხოლოდ იმიტომ დამაჯარიმეს, რომ ვიღაცას 2 ევროს გადახდა დაენანა უკოფეინო ყავაში. წარმოუდგენელია“, - დაწერა მან სოციალურ ქსელში.

ფეხსაცმელს ხელის დაუხმარებლად ჩაიცვამთ

ცნობილმა ბრენდმა Nike, შექმნა სპორტული ფეხსაცმელი GO FlyEase, რომელსაც არ აქვს თასმები. მისი ჩაცმა და გახდა შესაძლებელია ხელის დახმარების გარეშე. ახალ მოდელს, გარდა თასმებისა, არ აქვს არანაირი შესაკრავი. ამის ნაცვლად, ბრენდმა გამოიყენა დაპატენტებული ტექნოლოგია, რომლის წყალობითაც ფეხსაცმელი ფიქსირდება, როგორც ღია, ასევე, დახურულ მდგომარეობაში. ის თითქოს „იხსნება“ და „იკეცება“, თუმცა თავისი მინიმალიზმის გამო, მისი გამოყენება ძალიან პრაქტიკული და კომფორტულია. ბოტასის ფეხზე მოსარგებლად, მხოლოდ მასში ჩაბიჯებაა საჭირო. ბრენდის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ფეხსაცმელი ყველა მომხმარებლისთვის, მათ შორის, ფეხმძიმეებისთვისაც მოსახერხებელი იქნება, რომელთაც ჩვეულებრივი წესით ფეხზე ჩაცმა უჭირთ ხოლმე. ახალი მოდელი გასაყიდად, სავარაუდოდ, თვის ბოლოდან გამოვა და მისი ღირებულება 120 დოლარი იქნება.

ნახევარი კილო ბალი რაკორდულ ფასად გაიყიდა

500 გრამი ახალი მოსავლის ბალი იაპონიაში, იამაგატას პრეფექტურაში გამართულ აუქციონზე, ერთ მილიონ იენად (9.8 ათასი დოლარი) გაიყიდა. ყველაზე ძვირიან ლოტს სატონისიკის ჯიშის რამდენიმე ათეული ნარჩევი ნაყოფი შეადგენდა. ეს ყველაზე ადრეული ჯიშია. მის მაღალ ფასს, ძირითადად, ხილის მოყვანის ტექნოლოგია განსაზღვრავს. ბლის ხეები სპეციალურ ქოთნებში იზრდება. ივნისიდან ოქტომბრამდე, მათ მაცივარში ათავსებენ, მერე კი სათბურში გადააქვთ, სადაც დღისით 25 გრადუსი სითბოა, ღამით კი - 13 გრადუსი. იამაგატას პრეფექტურა ქვეყანაში ყველაზე გემრიელი ხილის მიმწოდებლად ითვლება.

პროფესიონალი უსაქმური გამდიდრდა

ტოკიოს მცხოვრები ახალგაზრდა მამაკაცი პროფესიონალი უსაქმური გახდა და ამით 280 ათას დოლარზე მეტი იშოვა. 2018 წელს, სეძი მორიტიმომ გამომცემლობაში მუშაობა მიატოვა და საქმიანობის სფეროს შეცვლა გადაწყვიტა. „მოგაქირავებთ საკუთარ თავს – ადამიანს, რომელიც არაფერს აკეთებს. „გიჭირთ, დამოუკიდებლად მაღაზიაში შესვლა? არ გყოფნით მოთამაშე გუნდში? გინდათ, თქვენს ნაცვლად, ადგილი ვინმემ დაიკავოს? ელემენტარული რაღაცების გარდა, არაფრის კეთება შემიძლია“, – დაწერა ახალგაზრდამ „ტვიტერში“.

თავიდან მომსახურებას კლიენტებს უფასოდ სთავაზობდა, მაგრამ ცოტა ხანში იმდენი მსურველი გამოუჩნდა, რომ გადაწყვიტა, ფიქსირებული ტარიფი დაედგინა და შეკვეთების რაოდენობა შეეზღუდა. 10 ათას იენად (96 დოლარი), რასაც მგზავრობის და კვების ხარჯი ემატება, მორიტიმო მზადაა, „ჭამოს, დალიოს და მარტივი პასუხები გაგცეთ“. სამიოდე წლის განმავლობაში, მას 3 ათასზე მეტი კლიენტი ჰყავდა და დაახლოებით, 288 ათასი დოლარი იშოვა, გამოაქვეყნა წიგნი საკუთარ კარიერულ გზაზე და სოციალურ ქსელებში დიდი პოპულარობაც მოიპოვა. მას სხვადასხვა მიზნით ქირაობენ – უმრავლესობას მარტოობის გახალისება სურს, ზოგს, უბრალოდ, მსმენელი სჭირდება. მორიტიმო კლიენტებს დაჰყვება სადილებზე, განქორწინების პროცესებზე, იღებს ფოტოებს ინსტაგრამისთვის, პარკებში დასდევს პეპლებს. იაპონელი დაქორწინებულია, აქვს სამეცნიერი ხარისხი ფიზიკაში.

კონკურსი საფლავების მორთვაში

რუსეთის ქალაქ ნოვოსიბირსკში, ცოტა ხნის წინ, პირველი კონკურსი შედგა საფლავების გაფორმებაში. შეჯიბრში სამი ქალაქის - სევასტოპოლის, ომსკისა და ნოვოსიბირსკის გუნდები მონაწილეობდნენ. ერთი საათის განმავლობაში, მათ დასაფლავების ადგილი უნდა მოეწყოთ ფილების, ცოცხალი და ხელოვნური ყვავილებისა და სხვა მასალების გამოყენებით. კონკურსის ჟიური ნამუშევარს ამოწმებდა, როგორც ტექნოლოგიის, ისე დიზაინის მხრივ. ამ უჩვეულო შეჯიბრში გამარჯვებული ომსკის გუნდი გახდა და ჯილდოდ, 20 ათასი რუბლი მიიღეს. გასულ წელს, ამგვარი კონკურსის ფარგლებში, შეჯიბრი საფლავის სწრაფად გათხრაში გაიმართა.

არქიპელაგზე ცხოვრებისთვის ფულს გადაუხდიან

ორ, მცირედ დასახლებულ არქიპელაგზე საცხოვრებლად გადასვლისთვის, შოტლანდიის ხელისუფლება მსურველებს 60 ათას ევროს გადაუხდის. ამ წინადადებით სარგებლობა ნებისმიერი ეროვნების 100 ოჯახს შეუძლია. ქვეყნის ხელისუფლება ამ გზით ცდილობს, ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობის გაზრდას. პირველი მსურველები, კომპენსაციას რამდენიმე კვირაში მიიღებენ. წინადადებამ, როგორც ჩანს, ბევრი ადამიანი დაინტერესა, რადგან არქიპელაგზე ცხოვრების სურვილი ბევრმა გამოთქვა, მათ შორის, სამხრეთ ამერიკის მცხოვრებლებმაც კი.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.